ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე ოთხშაბათს. №17 (1805) 27 ოქტომბერი 2003



## „ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური შეცდომა არ მოსვლია“

მე-2 გვ.

## „ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება“




### ხმა მიეცით ბლოკს „ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება“

2 ნოემბრის არჩევნების ერთადერთ ჭეშმარიტ ეროვნულ მონაწილეს

დეპუტატობის კანდიდატები:

გურამ აბსანძე, ია ბაგრატიონ-მუხრანელი, მერაბ თავაძე, პეტრე გელბახიანი, კონსტანტინე გაწერელია, დავით სოკოლოვი, ნოდარ ნათაძე

მხარდამჭერები:

ბესარიონ გუგუშვილი, ნემო ბურჭულაძე, ვალტერ შურღაია, გურამ პეტრიაშვილი, ბიძინა დანგაძე, რობერტ პეტრიაშვილი, ზაურ ქობალია

## საქართველოს საგარეო პოლიტიკა

მე-6 გვ.



ეთერ მგალობლიშვილი

## ...და ყოველი დღე რწმენით თენდება!



## ირანის ბირთვული ზრახვები

**ამერიკელების გასაჭირი ერაყში „ვერავინ გვიშველის ჩვენი თავის გარდა“**



**პაპი ფიქრობს თავის მონაცვლეზე**

*მანგული ხუბუა:*



„ახალმა პარლამენტმა უპირველესად ედუარდ შევარდნაძის იმპიჩმენტის საკითხი უნდა დააყენოს!“

მე-3 გვ.

## პრეზიდენტი ჩინოვნიკებს თანამდებობებზე კარუსელივით აბრუნებს

მე-6 გვ.

www.opentext.org.ge/sakart

საქართველო

# „ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური შეცდომა არ მოსვლია"



დავით სოკოლოვი ჩვენი დროის ცნობილი სახელია. მისმა გამორჩეულმა ხმამ, ნიჭიერებამ ცნობილ კი არა, რჩეულ დიქტორთა რიგში ჩააყენა იგი. მრავალი ათეული წლის განმავლობაში ისმოდა მისი ხავერდოვანი ხმა საქართველოს ტელეეკრანებიდან თუ რადიოს ეთერიდან. თუმცა, ასე ნუ დავაკნინებთ ბატონ დავით სოკლოვის მოღვაწეობის არეალს. იგი მარტოდენ დიქტორი კი არა, საზოგადო მოღვაწე და ცნობილი პოლიტიკოსიც გახლავთ. დავით სოკოლოვი ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის პოლიტსაბჭოს წევრია და ამ კავშირის დეპუტატობის კანდიდატთა სიაში მეექვსეა. მისი დიდი ნიჭიერების დასტურად, არ შემიძლია არ გავიხსენო ის ფაქტი, რომ საქართველოს ტელევიზიაში ჩემი მოღვაწეობის ჟამს, ბატონ დავით სოკოლოვისათვის რა აბურდული ტექსტიც არ უნდა მიგეცათ წასაკითხად, მაინც სწორად და კარგად ჩაიკითხავდა ბოლომდე, პირდაპირ ეთერში და თანაც ამ ტექსტის წინასწარ წაუკითხავად. ვფიქრობ, ეს ფაქტი მრავლისმეტყველია მაშინ, როდესაც ზოგიერთი სამაგალითოდ გაშალაშინებულ, სწორად დაწერილსაც უკუღმა კითხულობდა.

რაც მთავარია, ის კი ნამდვილად ჯერ არ მითქვამს მკითხველისათვის: ჩემთვის საკითხავიც არ ყოფილა, სად დადგებოდა ბატონი დავითი 1991-92 წლების საქართველოს ერთი დიდი უკუღმართობის ჟამს, – იგი უყოყმანოდ დადგა ეროვნული ხელისუფლების გვერდით და დღემდე არ უღალატია თავისი მრწამსისათვის. არ გაიკვირვო ჩემი ნათქვამი, ჩემო ძვირფასო მკითხველო! ამ ფაქტით ძალზე ბევრმა მოიჭრა თავი იმხანებში და დღემდე ისევ თავმოჭრილი დადის.

*– ბატონო დავით, როდის დაიწყეთ მოღვაწეობა მაშინდელ საქართველოს ტელერადიოკომიტეტში და როდემდე მუშაობდით იქ?*

– 1958 წელს, 21 წლის ასაკში დავიწყე მუშაობა საქართველოს ტელევიზიაში და იქ ვმუშაობდი ეროვნული ხელისუფლების დამხობამდე.

*– რამაც თქვენ ქართველობის თვალში ძალიან აგამაღლათ, თუმცაღა, არც მანამდე გაკლდათ დაფასება ქართველი ერისაგან, ეს იყო ეროვნული ხელისუფლების გვერდით დადგომა. რა იყო ეს, – მანამდეც გიფიქრიათ თუ დაუფიქრებლად მოხდა თქვენს მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება?*

– ამ გადაწყვეტილების მიღებას ჩემი მხრიდან არც ფიქრი დასჭირვებია და არც ჭოჭმანი.

*– ეს, თავისთავად, კარგია, მაგრამ გიფიქრიათ თუ არა, რომ ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემთხვევაში თქვენს ამ ნაბიჯს არავინ გაპატიებდათ?*

– არა, ამაზე არც მე მიფიქრია და არც იმ ასიათასობით ადამიანს, რომელიც მიტინგებზე იკრიბებოდა და ატაცებული იყო საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეით. ეს ხალხი ისეთი სიხარულით შეხვდა ეროვნულ ხელისუფლებას და ისეთი ბედნიერი იყო საქართველოს რუსეთის უღლიდან განთავისუფლებით, შიში ან სხვა რაიმეზე ფიქრი როგორ შეიძლებოდა?!

*– როცა ეროვნული ხელისუფლება იმპერიული ძალების დახმარებით დაამხეს რენეგატმა ქართველებმა, იმის შემდეგ სად ბრძანდებოდით და რა გადაიტანეთ?*

– სხვებზე განსხვავებული არაფერი გადამიტანია. ის კი არადა, სხვებს მეტიც გადაუტანიათ. ჩემმა თანამებრძოლებმა ჩემზე ბევრად მეტი სიავე ნახეს. აი, თუნდაც, გურამ აბსანძე: ოთხი წელი და ოთხი თვე უკანონოდ რომ ხარ დაპატიმრებული, ადვილია განა? ათასობით ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირეს, ჩემ მიერ გადატანილზე უარესი არ არის?

*– როგორც ვიცი, სახლი დაგეწვათ. სად იყო თქვენი სახლი და მერე სად ცხოვრობდით?*

– ჩემი სახლი მართლაც დაიწვა. მთავრობის სახლის ახლოს იდგა პირველი სკოლის უკან. ოჯახი დიდუბეში, ჩემი მეუღლის მეგობრის სახლში გადავიყვანე. ამ სახლს თავს დაესხნენ...

*– თქვენს გამო დაესხნენ თავს?*

– დიახ, ჩემს გამო; ეტყობა, ვიღაცამ შემნიშნა და დარეკა, სადაც ჯერ არს; მოგეხსენებათ, მათაც მოსვლა არ გაუჭირდებოდათ; მე შინ არ ვიყავი. სროლა აეტეხათ, დაებარებინათ, რომ ტელევიზიაში მისულიყავი...

*– რა, თავდამსხმელებმა დაიბარეს?*

– დიახ, თავდამსხმელებმა დაიბარეს, სამსახურში რატომ არ დადისო, მოვიდესო, აჩიკო გოგელია ელოდებაო...

*– მიხვედით არჩილ გოგელიასთან?*

– პრეტენზიით მივედი, – ქალებს რას ერჩოდით, რომ დააწიოკეთ, იქაურობა სულ გადაუქოთებიათ-მეთქი...

*– გოგელიამ რა გიპასუხათ?*

– არაფერი. რადგან მივედი, ინტერვიუ მთხოვეს. ნანა ჯაფარიძემ ჩაიწერა და ტელევიზიითაც გადაიცა.

*– რა გკითხათ ნანა ჯაფარიძემ და თქვენ რა უპასუხეთ მაშინ?*

– მკითხა, თუ გჯეროდათ გამსახურდიასი და მისი ხელისუფლებისო. მე, თავადაც ხვდებით, რასაც ვუპასუხებდი. ტელევიზიით გადაიცა ის ინტერვიუ.

*– თუ გაარკვიეთ, ვინ დაგესხათ მაშინ თავს და სად არიან ისინი ახლა?*

– გავარკვიე. ესენი იყვნენ ძმები ჩაჩუები თავიანთი რაზმით. ახლა სად არიან, არ ვიცი.

*– ბატონო დავით! ეროვნული ხელისუფლების მაშინდელ მომხრეთაგან შემდგომში ბევრმა აზრიც შეიცვალა და პოზიციაც. თქვენ რომ „ძველებური" დავით სოკოლოვი ბრძანდებით, ეს აშკარაა, მაგრამ ნუთუ სადღაც, ოდესღაც, გულის კუნჭულში არ გინანიათ თქვენი პოზიციის გამო, აუარება განსაცდელის ჟამს?*

– სინანული რომ გამჩენოდა, ჩემს ცხოვრებას ზოგიერთებივით მშვენივრად ავაწყობდი, ღმერთმა დამიფაროს!

*– მაშასადამე, ყველაფერი რომ თავიდან დაიწყოს და შედეგიც წინასწარ იყოს თქვენთვის ცნობილი, არაფერს შეცვლიდით?*

– არავითარ შემთხვევაში! რაში უნდა გამომეყენებინა, ვთქვათ, ის სიკეთე, რასაც ეს ე. წ. ხელისუფლება მომცემდა? თანაც, მატერიალური სიკეთე ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს...

*– 1997 წელს თქვენ მოღვაწეობა დაიწყეთ კოკა ყანდიაშვილის „აუდიენციაში". რამ განაპირობა თქვენი ეს გადაწყვეტილება?*

– „აუდიენცია" კოკა ყანდიაშვილის საკუთარი პროგრამა იყო; მას საკუთარი არხი არ გააჩნდა და მის პროგრამას პირველი არხით გადასცემდნენ. კოკამ მომიწვია თუ არა, იმ პირობით დავთანხმდი, რომ „ვიდეოპატრულის" გარდა არაფერი სხვა გადაცემა არ წამეყვანა. არ მინდოდა სახელმწიფო არხს გავკარებოდი, რომ ჩემს სახელს ჩირქი არ მოსცხებოდა...

*– ამის მიუხედავად, დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა მაშინ, თითქოს თქვენ სახელმწიფო ტელევიზიაში მიბრუნდით სამუშაოდ...*

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ შემდგომში ყველამ ყველაფერი გაიგო და დაინახა.

*– რა ჰქონდა ისეთი ზვიად გამსახურდიას, რის გამოც მისი პიროვნებისა და პოლიტიკისადმი თქვენ დღემდე ერთგული დარჩით?*

– ჭკუა, გონება, ეროვნულობა, სწორუპოვარი ქართველობა და რა აღარ... ის, რაც მას გააჩნდა, როგორც პიროვნებასა და როგორც პოლიტიკოსს, ჩემისთანა რიგითი ქართველისათვის შეიძლება მიუწვდომელი იყო, მაგრამ საგრძნობი კი ნამდვილად გახლდათ... მის მოღვაწეობას საოცარი შედეგი ჰქონდა.

*– რა შედეგს გულისხმობთ?*

– იმ გაუსაძლის ვითარებაში ის მოახერხა, რომ საქართველოს მომავალზე ეზრუნა: მან საქართველოს დამოუკიდებლობა მოუპოვა. პუტჩის შემდეგ ყველა სახელმწიფოში, თავისი ხელმოწერებით, დააგზავნა სპეციალური დოკუმენტები – ძალითა და იარაღით მოსული ხელისუფლების ყველა ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა თუ ვალის შესახებ – ანუ ეს ყველაფერი ბათილად იქნება ცნობილი ეროვნული ხელისუფლების მოსვლისთანავე ამ დოკუმენტის მეოხებით.

*– მაინც, ზვიად გამსახურდიას რა პიროვნული თვისება მოგწონდათ გამორჩევით?*

– ის საოცარი შემართება, რაც მას გამოარჩევდა ყველასაგან. ისეთი ანდამატური ძალა და ხიბლი ჰქონდა, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოისწრაფოდნენ ადამიანები, რომ მისთვის მოესმინათ. ღმერთი ყველას არ აძლევს ამის უნარს, მხოლოდ მილიონში ერთს...

*– ეროვნული ხელისუფლების არაკეთილმოსურნენი ამბობენ, ზვიადი დიდი ეროვნული ფიგურა გახლდათ, მაგრამ სახელმწიფოს მართვა არ იცოდაო. ეროვნულობას მაინც, კიდევ კარგი, რომ არ უკარგავენ, სახელმწიფოს მართვის უცოდინრობაზე რას გვეტყვით?*

– ამ ნათქვამს ამერიკელებისვე ნათქვამს დავუპირისპირებ, როდესაც ისინი ზვიადს 21-ე საუკუნის პოლიტიკოსს უწოდებენ. უფროსი ბუშის აზრია ეს.

*– აბა, უფროსმა ბუშმა რომ ბრძანა, გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო?*

– ეს იმიტომ, რომ ზვიადი მისი მორჩილი არ გახდა და საქართველო საბჭოთა იმპერიიდან გამოიყვანა, ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას კი ხელი არ მოაწერა.

*– როგორ ფიქრობთ, შეეძლო თუ არა შევარდნაძეს არა საქართველოს დაქცევის, არამედ მისი აღმშენებლობის გზით ევლო?*

– ის სხვა სტერეოტიპზეა მორგებული და, აქედან გამომდინარე, არ შეეძლო. თანაც ისე ვერაგულად, როგორც მან გაანადგურა ყველაფერი, სხვა ვერ შეძლებდა.

*– რატომ ანადგურებს ყველაფერს, როგორ ფიქრობთ?*

– იმიტომ, რომ მის არსებაში არ არსებობს ეროვნული სული. ამიტომაა, რომ ერის სულში მთლიანად აპირებს ეროვნულობის ამოძირკვას – ხალხის გაჭირვებით, დანაპირების შეუსრულებლობით, იმით, რომ ერთს ფიქრობს, მეორეს ამბობს და მესამეს აკეთებს. მისი ყოველი ნაბიჯი ნგრევის კვალს სტოვებს.

*– როგორ გგონიათ, რა აიძულებს ქართველ კაცს, კერძოდ ქვეყნის პირველ პირს, ყველაფერი იღონოს თავისი ქვეყნის დაქცევისათვის?*

– არაეროვნულობა! ამიტომაა, რომ მოსვლის პირველივე დღიდან ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ეს არის მისი მმართველობის მეთოდი, თუ ამასაც მეთოდი შეიძლება ეწოდოს. ოდნავ ფეხი რომ გადაუბრუნდეს, მისი მეხოტბეები პირველები ჩაქოლავენ მას. აი, თუნდაც: ირინა სარიშვილი ამ დღეებში აცხადებდა, რომ ვიღაცები არჩევნების შემდეგ დესტაბილიზაციას აპირებენო. დესტაბილიზაციას ეგენი შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას უწოდებენ. ქვეყანაში რომ შეიძლება უმართავი პროცესები დაიწყოს, ეს არავის აინტერესებს, ცხადია. 1991 წელს განა ჭანტურიამ და სარიშვილმა ამ ლოზუნგით არ დაიწყეს არეულობა – ძირს შევარდნაძე-გამსახურდიას ალიანსიო? მაშინ, როდესაც თვითონ იყვნენ შევარდნაძესთან ალიანსში. შემდგომში, როგორც ვიცით, ეს ყველაფერი ბავშვისთვისაც კი ნათელი გახდა. გია ჭანტურიამ მოსკოვში სამჯერ ჩაატარა პრეს-კონფერენცია და თანაც უზარმაზარ დარბაზში. რა იყო იმ პრეს-კონფერენციების მთავარი თემა? – ზვიად გამსახურდიას უსაფუძვლო ლანძღვა-განქიქება მაშინ, როდესაც ახლა ეს ქალბატონი სარიშვილი დითირამბებს უმღერის შევარდნაძეს.

*– ერთი რამ მაინც მოიგონეთ, რა თქმა უნდა, სასიკეთოს ვგულისხმობ, შევარდნაძემ რომ გააკეთა ჩვენი ქვეყნისათვის.*

– ასეთს ვერ მოიგონებ. არ არსებობს და იმიტომ. საქმე ის არის, რომ შევარდნაძემ ვერ გათვალა: მისი მეოხებით რამდენიმე პიროვნება ისე გასუქდა, ბოლომდე აღარ ემორჩილებიან. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ველარავის დაიჭერს, რადგან თვითონვე გაასუქა ისინი. რადგან თვითონვეა გასვრილი, ველარავის სჯის.

*– ზვიად გამსახურდია რომ დღემდე ხელისუფლების სათავეში ყოფილიყო, რა მდგომარეობაში იქნებოდა ჩვენი ქვეყანა?*

– ქვეყანა ნამდვილად იქნებოდა ალმავლობის გზაზე, მაგრამ ძნელია ეს გააგებინო იმათ, ვინც ისე მსჯელობს, წელან რომ ზოგიერთის მოსაზრება ბრძანეთ: ზვიადი დიდი ეროვნული პიროვნება იყო, მაგრამ სახელმწიფოს მართვა არ იცოდაო. იმათ ისიც კი ვერ გაუგიათ, რა პროგრამა ჰქონდა ზვიად გამსახურდიას – თუნდაც ბესო გუგუშვილის გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პროგრამა არ დააცალეს... თუნდაც ის, არჩევნებს რატომ არ ნიშნავსო. არადა, არჩევნებს რომ აპირებდა, ეს ყველამ იცის... ამიტომაც დაასწრეს სამხედრო გადატრიალება. წელან რომ მკითხეთ, შეეძლო თუ არა შევარდნაძეს რაიმე სასიკეთო გაეკეთებინაო, გეტყვით: პინოჩეტმა ძალის საშუალებით დაამხო ალიენდე, მაგრამ 6 წელიწადში ჩილე მთელს ლათინურ ამერიკაში მოწინავე სახელმწიფოდ აქცია. ამის მიუხედავად, ის ქმედება პინოჩეტს მაინც არ აპატიეს... ხომ არ გგონიათ, მარტო თელასია სხვისი? თელასის გაყიდვამდე მთელი მაღალი ძაბვის ხაზები – სუყველა რუსეთისა იყო. ყველაფერი გაიყიდა – ისიც, რაც ვიცით და ისიც, რაც არ ვიცით. ახლა რომ ამბობენ, ჯავახეთში არეულობააო, არეულობა კი არა, ჯავახეთი დენსაც სომხეთიდან იღებს, იქ სომხური დროშებიც ფრიალებს... აქედან გამოიტანეთ დასკვნაც: ჩვენია ჯავახეთი? არც ჩვენი ფული გადის იქ, არც ქართულ ენაზე წარმოებს არაფერი. ასე, რომ 12 წელია შევარდნაძე მიზანმიმართულად ანგრევს ყველაფერ ეროვნულს ჩვენში. ყველაფერი თავის ახლობლებს შეასყიდვინა ჩალის ფასად, ყველაფერს მისი კლანი დაეპატრონა; აი, თუნდაც ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა – დავით შალიკაშვილი დირექტორთა საბჭოს თავშია იმიტომ, რომ შევარდნაძის ქალიშვილი დაეპატრონოს ამ ქარხანას. პიროლიზური ფისის საწარმო, რომელზედაც ასეთი ამბავი ატყდა, მაინც ბენზინის წარმოებაში დაუშვეს და, აქედან დასკვნა გამოიტანეთ, თუ რა მოგებას ნახულობს შევარდნაძის ნათესაობა ამ მავნებლური შემადგენლობის გამოყენებით. მწვანეებმა კი ატეხეს ერთი ამბავი, ჩხობაძემაც დაწერა დასკვნა მისი მავნებლობის შესახებ, მაგრამ რა გინდა! ჩხობაძესაც უკან წაალებინეს სიტყვა და მწვანეებიც ჩააჩუმეს. აი, ასე ხდება ჩვენში ყველაფერი შევარდნაძის წყალობით, ასე ნადგურდება ყველაფერი გეგმაზომიერად...

*– ქართველობასთან, ეროვნულობასთან გაიგივებულ ჩვენს სარწმუნოებას – მართლმადიდებლობას, ხომ ნახეთ, რა საშიშროება დაემუქრა ხელისუფლების წყალობით?*

– აი, თუნდაც ეგ: შემთხვევით რომ არ გაგვეგო, ფარულად აპირებდნენ რელიგიის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერასაც, რაც მართლმადიდებლობის დამცრობას ითვალისწინებდა. კანცელარიიდან ვიღაც ღვთისნიერმა გამოიტანა ქსეროასლი და გაგვაგებინა „ვიღაცის" ვერაგული ზრახვის შესახებ. აბა, რატომ არის ამდენი სხვადასხვა სექტა საქართველოში, სახელმწიფო რატომ იცავს მათ უფლებებს მაშინ, როცა ჩვენი უფლებების დაცვაზე არავინ ფიქრობს? რა ხდება? ესეც ერთი გზაა ერის სულიერების მოსპობისა. ეკონომიკურად მოგვსპეს, სულიერადაც მოგვსპობენ. საზღვრის გადმოკვეთაზე ჩეჩნები რომ დააპატიმრეს, 10 წელია თბილისში ზის ვინმე ტუნგლერი, იეღოველების სულიერი მამა, რატომ არავინ კითხულობს, როგორ, რატომ და რა მიზნით არის აქ, ჩვენთან? აი, ასეთი განუკითხაობა და ერის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებია ჩვენში. რა ხანია ცხოვრობს ეს ტუნგლერი, ყიდულობს მიწას, აძლიერებს იეღოველობას, ასე ანადგურებენ ჩვენს სულიერებას მიზანმიმართულად.

*– სექტებმა რომ ჩვენში ასეთი ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა, ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის სისუსტესაც ხომ არ ხედავთ ამ ფაქტით?*

– რასაკვირველია! სხვაგვარად ვერ გაფოფინდებოდნენ ისინი ასე. ვერჩოდით კი არა, არასოდეს დავპირისპირებივართ სხვა რელიგიების წარმომადგენლებს, მაგრამ ამ სექტებს, ასეთი თავხედობისას, სახლებში რომ ეჭრებიან ადამიანებს და თავს ახვევენ თავიანთ ნებას, რა უმაგრებს ზურგს, თუ არა საპატრიარქოს ინდიფერენტულობა.

*– ბატონო დავით, კიდევ ერთხელ რატომ წამოიჭრა ე. წ. თურქი მესხების საქართველოში ჩამოსახლების საკითხი?*

– ესეც კიდევ ერთი საჭირბოროტო საკითხია ჩვენთვის. რას აღარ აკეთებდნენ მათი ჩამოსახლებისათვის გურამ მამულია, მანანა გიგინეიშვილი, ნაირა გელაშვილი... ცოტა აზრი ხომ უნდა დაატანო ადამიანმა შენს ქმედებას; საქართველოში, საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ მიწაზე, როცა 300 000 ლტოლვილი თუ ხიზანი გყავს, შეიძლება ამ თურქი-მესხების ჩამოსახლებაზე საუბარიც კი? ცხადია, არა, მაგრამ საქართველოში ყველაფერი მიმართულია ქართველისავე შევიწროებისაკენ. სხვა დასკვნის გაკეთება არც მართებული იქნებოდა და არც – ნორმალური.

გაგრძელება მე-7 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს:

ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს,
ბატონ გოჩა ფიფიას,
ბატონ ბეჟან გუნავას,
ბატონ მერაბ რაფავას,
ბატონ გია დანელიას,
ბატონ ლაშა დარასელიას,
ბატონ თენგიზ ჯგუშიას

ვითვალისწინებთ და ვაცნობიერებთ რა ქვეყანაში შექმნილ უმწვავეს პოლიტიკურ ვითარებას და უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ერისა და ქვეყნის ინტერესებიდან და ეროვნული თანხმობის პრინციპებიდან გამომდინარე მოგმართავთ წინადადებით გავმართოთ ერთობლივი წინასაარჩევნო შეხვედრები ამომრჩევლებთან, რათა აზრთა ურთიერთშეჯერების, გულახდილი და პირდაპირი დიალოგის შედეგად შევძლოთ ქვეყნის გადარჩენის გზის დასახვა და ამომრჩევლებსაც გავუადვილოთ სწორი არჩევანის გაკეთება.

წარმოგიდგენთ რა ჩემი საარჩევნო შტაბის მიერ შემუშავებულ წინასაარჩევნო შეხვედრათა გრაფიკს, თქვენი სურვილისა და თანხმობის შემთხვევაში მზად ვარ მისი კორექტირებისათვის ერთობლივი წინასაარჩევნო შეხვედრების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით.

შემოთავაზებულ წინადადებაზე პასუხისაგან თავის არიდების, უარის თქმის შემთხვევაში ვიტოვებთ უფლებას თქვენი მოქმედება ჩავთვალოთ არა მარტო ამომრჩეველთა, არამედ ერისა და ქვეყნის ინტერესების იგნორირებად.

*პატივისცემით: გურამ აბსანძე*

## *მანგული ხუბუა:*

## „ახალმა პარლამენტმა უპირველესად ედუარდ შევარდნაძის იმპიჩმენტის საკითხი უნდა დააყენოს!“



ეს მხოლოდ მანგული ხუბუას ან მისი პარტიისა და ბლოკ „ეროვნული თანხმობა-იბერიის გაბრწყინების“ აზრი არაა; ეს სურვილი პირდაპირ თუ ფარულად აქვს სრულიად ზნეობრივ საქართველოს!

ეს უწყის შევარდნაძემაც და მისმა „ფიცვერცხლნაჭამმა“ გარემოცვამაც – ბატონი ჯორბენაძით დაწყებული და კანცელარიის კარისკაცებით დამთავრებული (სადღაც შუა ადგილებში საიმედო ადგილასაა „ჩასმული“ სარწმუნოებრივი მოყვარე მისი – ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ხელისბიჭ ზურაბ ჟვანიასთან ერთად)...

ამიტომაც კარს მომდგარი მორიგი საპარლამენტო არჩევნები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა; ეს მან უნდა გააცილოს ცოცხალი შევარდნაძე თავის ბოლო გზაზე (შინისაკენ), ეს მან უნდა დაულოცოს სამოქმედო პერიპეტიები იმ ახალ პრეზიდენტს, ვინაც პირდაპირ უნდა გააგრძელოს ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გზა!..

... ბატონი მანგული ხუბუა „იმ“ ახალი პარლამენტის წევრობისთვის იყრის კენჭს.

●

... იგი უახლესი „რევოლუციური“ წარსულით მოაბიჯებს.

დაიბადა ისტორიულ საბედიანოში, უძველეს სოფელ გუდავაში, გაიზარდა და მუშაობდა გაგრაში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვოლგოგრადის ტრესტ „ნიჟნოვოლგოელექტრომონტაჟის“ ქარხანაში გააგზავნეს ინჟინერ-ელექტრიკოსად. ორიოდე წელი დაჰყო იქ და, მალევე გაგრაშია, გაგრის „ელექტრომონტაჟის“ უფროსად.

●

... ეროვნულ მოძრაობაში 1989 წლიდანაა, როცა მოძრაობა „ლემმა“ თავისი ორგანიზაციის ხელმძღვანელად აირჩია.

მალევე გაგრის ეროვნული მოძრაობის თავკაცებმა მოახერხეს გაეერთიანებინათ ცალ-ცალკე არსებული ეროვნული პარტიები და ეწოდებინათ ეროვნული სათათბირო, რომლის თავმჯდომარედ ბატონი თამაზ ნადარეიშვილი აირჩიეს.

... 1990 წელს, არჩევნების დროს, გაგრის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ზედმიწევნით ესმის: გაგრა უნდა ყოფილიყო ეროვნული ფორპოსტი სრულიად აფხაზეთისა...

და, რომ ეს ასე იყო, კიდევ ერთხელ დადასტურდა 1991 წლის 31 მარტს, როცა რეფერენდუმზე ქართულმა მოსახლეობამ იმდენად „აიყოლია“ რაოდენობით ჭარბი გაგრელი სომხები და რუსები, რომ დასმული საკითხი – „ხმას აძლევთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობას?“ – დადებითად გადაწყდა დიდი უპირატესობით!

... 1991-92 წლების პუტჩისტური დარტყმა ორმაგი ძალით იწვნია გაგრამ და მერე სრულიად აფხაზეთმა, რასაც მოჰყვა დაუსრულებელი დევნა ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერებისა.

მანგული ხუბუა ორჯერ დაატუსაღეს გაგრაში ფეხმოკიდებულმა მხედრიონელებმა. ორჯერვე გამეტებით სცემეს: (ბოლოს მასთან ერთად სცემეს უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვლადიმერ ჯოლოგუა).

1992 წელს მანგული ხუბუა აკეთებს განცხადებას მოძრაობა „ლემის“ თავმჯდომარეობიდან გადადგომის შესახებ, რადგან „ლემის“ ცენტრალურმა ხელმძღვანელობამ გადაუხვია ეროვნულობის პრინციპებს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ომის დაწყებამდე მანგული ხუბუას გაგრა არ დაუტოვებია.

1992 წლის 2 ოქტომბრიდან დაიწყო მისი დევნილობა და გრძელდება დღემდე.

დღეს პოლიტიკური პარტიის – ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის პოლიტსაბჭოს წევრი ბატონი მანგული ხუბუა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობს.

ღირსეულ კანდიდატს მხარდამჭერიც ბევრი ჰყავს...

თუნდაც – წარსულში მის მიერ გამოვლენილი ეროვნული სულისკვეთებისა და ცნობიერების გამო;

თუნდაც იმ დიდი ძალისხმევისათვის, რაც მას თანამოაზრეებთან ერთად გაუწევია საქართველოს საპყრობილეებში ჩამწყვდეული პოლიტპატიმრების გასათავისუფლებლად;

და, რაღა თქმა უნდა, იმ თავაუღებელი შრომისთვის, რაც მან ჭეშმარიტ ეროვნულ ძალებთან ერთად გასწია ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის ჩამოსაყალიბებლად.

●

იცის, როგორ არ იცის ბატონმა მანგული ხუბუამ, რომ წლევანდელ არჩევნებსაც გააყალბებენ (იქნებ იმ „დოზით“ ვერა, როგორც წინა – 1992, 1995, 1999 წლებისას, მაგრამ მაინც გააყალბებენ), რადგან: ზარბაზნით მოსულმა ხელისუფლებამ გამორიცხულია გაუყალბებლად ჩაატაროს არჩევნები, რამეთუ იცის, ვერ გაიმარჯვებს...

რადგან: მისი რეიტინგი დღეისათვის ნულის ტოლია.

სხვათა შორის, ბატონ მანგულის ეეჭვება საერთოდ ჩატარდეს არჩევნები...

●

*– რატომ ფიქრობთ ასე?*

– ამომრჩეველთა სიების „გაბერვა“ მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნით კეთდება. შემდეგ იტყვიან: ერთი მესამედი არ გამოცხადდაო და არჩევნებს გამოაცხადებენ ჩაშლილად.

*– გამარჯვების შემთხვევაში, რით უნდა დაიწყოს ახალმა პარლამენტმა მუშაობა?*

– უპირველესად, უნდა დასვას ედუარდ შევარდნაძის იმპიჩმენტის საკითხი, რომ მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილი დროის განმავლობაში მთლიანად არ მოუღოს ბოლო საქართველოს არსებობას.

*– ვთქვათ და, გამოაცხადა ეს არჩევნები ჩაშლილად, მაშინ?*

– მაშინ დღეს არსებული პარლამენტი გამოაცხადებს თვითგაგრძელების უფლებას მომავალ არჩევნებამდე. ესეც და გადარჩევამდე შევარდნაძის მოღვაწეობაც პრეზიდენტის პოსტზე კატასტროფას უქადის საქართველოს!..

ზაირა ბილიხოძე

**პატივცემულო ამომრჩევლებო!**

თქვენთვის ცნობილია, რას უნდა მოელოდეთ შევარდნაძისაგან და მისი ხროვისაგან, თუკი ისინი შეინარჩუნებენ თავის ყოვლისშემძლე ბატონობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. სახელდობრ,

— ისინი იურიდიულად გააფორმებენ საქართველოს ტერიტორიულ დანაკარგებს, აფხაზეთსა და ზენა ქართლს (ცხინვალის ზონას) ოფიციალურად გადააქცევენ რუსეთის პროტექტორად და სამუდამოდ დააკანონებენ რუსეთის შეიარაღებული ძალების დგომას ამ მიწა-წყალზე.

— ისინი უცხოელებზე გაყიდიან საზღვაო პორტებს. საქართველოს რკინიგზას, 31-ე ქარხანას და სხვა ძირითად საწარმოებს. მაფიებს მიჰყიდიან წყალსადენს და ქალაქების ყველა კომუნალური სამსახურის ქონებას.

— ისინი უცხოელებზე გაყიდიან სასოფლო-სამეურნეო მიწას და ამით მთელ ქართველ ხალხს გადააქცევენ ბოგანოდ საკუთარ ქვეყანაში.

— ისინი შემოიღებენ ორმაგ მოქალაქეობას და ამით რამდენიმე უცხო ქვეყანას მისცემენ „კანონიერი“ ბატონობის უფლებას საქართველოს სხვადასხვა ნაწილში.

ისინი უფრო და უფრო ღრმად ჩაითრევენ საქართველოს „ესენგეში“ და კბილებით იბრძოლებენ მის შესაყვანად „რუსეთ-ბელორუსიის“ კავშირში.

დღეს შევარდნაძის ყოველმხრივ არალეგიტიმური (უკანონო) დიქტატურა ჩქარობს, ყველა ამ ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯის გადადგმა მოასწროს მანამდე, სანამ მისი „ბელადის“ საპრეზიდენტო ვადა ამოიწურებოდეს (ანუ 2005 წლის გაზაფხულამდე). ამისთვის მათ სჭირდებათ საპარლამენტო უმრავლესობა შევარდნაძის ღია და ფარულ მომხრეთა სახით. შევარდნაძის ეს მომხრეები არიან:

1. სამთავრობო ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ (ანუ ყოფილი „მოქალაქეთა კავშირი“)
2. ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები“ (ანუ ყოფილი „მოქალაქეთა კავშირი“)
3. „ერთობა“ (პატიაშვილი-ჭაჭიას პარტია) და ღია კომუნისტური მიმართულების სხვა პარტიები
4. ლეიბორისტები.

შევარდნაძისა და მისი გუნდის ფარული, მაგრამ განუყრელი მოკავშირეები არიან ასლან აბაშიძე და მისი პარტია „აღორძინება“.

„მოქალაქეთა კავშირის“ განაყარია თითქოსდა „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც ჭეშმარიტი ეროვნულობისა არაფერი სცხია, თუმცა რამდენიმე სწორი სოციალური ლოზუნგი აქვს.

არ ენდოთ 2 ნოემბრის არჩევნებში ცრუ დაპირებას, არ მოტყუვდეთ თითო ხმაზე 50-100 ლარის შეპირებით, სამადლოდ გადმოგდებული თითო ტომარა ფქვილით, შაქრით და გზის მოასფალტებით!

ხმა მიეცით ბლოკს „ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება“, რადგან ეს ბლოკი 2 ნოემბრის არჩევნებში ერთადერთი ნამდვილი ეროვნული ბლოკია და, მაშასადამე, ერთადერთი ნამდვილად დემოკრატიული, რიგით მოქალაქეების ინტერესთა დამცველი, ხარბი და ულმობელი მაფიების წინააღმდეგ მებრძოლი.

ჩვენი უშუალო სადღეისო გეგმაა:

— უკანონოდ გასხვისებული სტრატეგიული ობიექტების (პირველ რიგში ელექტროენერგეტიკის) დაბრუნება სახელმწიფოს ხელში.

— ორგანიზებული ძალისხმევით იაფი (მისაწვდომი) საწვავი ბაზრის, ენერგო ბაზრისა და საკრედიტო ბაზრის შექმნა (წარმოების გამოცოცხლების მიზნით).

— ზომიერი პროტექციონიზმის შემოღება (დროებით) სამამულო წარმოების დაცვის მიზნით.

— საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია და დროებით ფიქსირებული გადასახადის სისტემის გამოყენება (იმავე მიზნით).

ჩვენი გრძელვადიანი (2-3 წლიანი) გეგმაა:

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დევნილთა უპირობო და უგამონაკლისო დაბრუნება საკუთარ სახლებში, გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ჩამტარებელთა დასჯა, აფხაზეთსა და ზენა ქართლში (ცხინვალის ზონა) სამართლიანი და ყველა მონაწილე ხალხის (ქართველების, აფსუების ანუ აფხაზების, ოსების) ინტერესთა დამცველი ტერიტორიულ-პოლიტიკური წყობის შემოღება (აფხაზეთის ავტონომიის ჩათვლით).

— საგარეო პოლიტიკის რადიკალური შეცვლა: მყარი ორიენტაცია დემოკრატიულ დასავლეთზე (მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების ფორმით), საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და ღირსების რეალური დაცვა, მისი როლის ამაღლება საკუთარ ნებას მოკლებული ტერიტორიის დონიდან ანგარიშგასაწევი მოკავშირის დონემდე.

— „ესენგედან“ საქართველოს გამოსვლა, რუსეთის ბაზებისა და „მემშვიდობეების“ გაყვანა.

— კორუფციის რადიკალური დათრგუნვა (პირველი გადამწყვეტი შედეგების მიღწევით 12 თვეში).

— მეანაბრეთა დაკმაყოფილება (10-12 წლის ვადაში).

— განათლების გამოცხადება ერის პრიორიტეტულ პრინციპად და ამ განაცხადის რეალიზაცია.

— პრინციპის „თავისუფლება, პური (კეთილდღეობა), სამართალი“ განხორციელება ცხოვრების ყველა სფეროში.

ჩვენი ბლოკისათვის „ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება“ ეს გეგმა ცარიელი სიტყვები არაა (იხილეთ ჩვენი პროგრამა, სადაც დეტალურად გაწერილია ყველაფერი. გახსოვდეთ, რომ 2 ნოემბრის არჩევნების არც ერთ სხვა მონაწილეს თავის „დაპირებათა“ რეალიზაციის კონკრეტული პროგრამა არა აქვს).

***შედარებისათვის***

საქართველოს ეროვნული ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ისე წავიდა ხელისუფლებიდან, რომ

— არ დარჩენია არც ერთი ცენტი საგარეო ვალი;

— არ მოუხდენია არც ერთი ტერიტორიული ან პოლიტიკური კაპიტულაცია;

— არ დაუკარგავს არც ერთი გოჯი საქართველოს ტერიტორია;

შევარდნაძის ანტიეროვნულმა და მრავალმხრივ არალეგიტიმურმა რეჟიმმა

— საქართველოს უკვე დაადო 3 მილიარდ დოლარზე მეტი საგარეო ვალი (თითო სულ მოსახლეზე, ახალშობილთა ჩათვლით, 500 აშშ დოლარზე მეტი);

— დაკარგა (დროებით) ტერიტორიები აფხაზეთსა და ზენა ქართლში (ცხინვალის ზონაში);

— საქართველო ჩაითრია „ესენგე“-ში;

— ქურდბაცაცებს მიათვისებინა და უცხოეთის ბანკებში გადაანახვინა 20-35 მილიარდი დოლარი.

**მიეცით ხმა ბლოკს „ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება“ №15**

ამით თქვენ პირნათლად იხდით ვალს სამშობლოს, შვილების და შვილთაშვილების წინაშე.

15

## „ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება“

**გ. აბსანძე**
**ი. ბაგრატიონ-მუხრანელი**
**ნ. ბურჭულაძე**
**ქ. გაწერელია**
**პ. გელბახიანი**
**ლ. გვასალია**
**მ. ზაქარაია**
**თ. კერძევაძე**
**ს. ლაგვილავა**
**ნ. ნათაძე**
**რ. პეტრიაშვილი**
**ქ. სიხარულიძე**
**დ. სოკოლოვი**
**ქ. ძეცბაია**
**ვ. შურღაია**
**პ. ჩიძოვანი**
**ზ. წულაია**
**მ. ხუბუა**

საქართველო

# ირანის ბირთვული ზრახვები

ცხადია, რომ დასავლელები მონადინებულნი არიან ირანს — ამ საერთაშორისო ტერორიზმისადმი მხარდაჭერაში ეჭვმიტანილ სახელმწიფოს — ბირთვული იარაღის ხელთგდება არ აცალონ. „ხელთგდებას" იმიტომ ვამბობთ, და არა „დამზადებას", რომ არაა ცალსახად ცნობილი, თავისი ახალი იარაღის რა ნაწილს ირანი თავისი ხელით შექმნას უპირებს და რა ნაწილს — რუსეთიდან შემოტანას. ისიც ცხადია, რომ ირანი მონადინებულია, ასეთი იარაღი შექმნას. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო აქტიურ ზეწოლას ახდენს ირანზე, რომ თანხმობა განაცხადოს მის საწარმოთა ძალიან და ძალიან გულმოდგინე ინსპექტირებაზე ამ სააგენტოს მიერ, რათა დადგენილ იქნას, აქვს თუ არა მას, მართლაც, ბომბის გაკეთებისათვის საჭირო ურანი ან პლუტონიუმი. სააგენტოს წევრ 34 ქვეყანას შორის აზრი გაიყო იმის თაობაზე, მოვიდა თუ არა უკვე დრო, რომ ირანს ამ თემაზე ულტიმატუმის ენით ელაპარაკონ. რადგან ისიც ძნელია, რომ ირანი ამგვარ ინსპექტირებაზე დაითანხმოთ, და ისიც დაუშვებელია, რომ ირანმა თავისი განზრახვა ბოლომდე მიიყვანოს. თვალწინ გვაქვს ჩრდილოეთ კორეის მაგალითი: მან არა თუ უარყო დასავლეთის ზეწოლა ანალოგიური მიმართულებით, არამედ, ამ ზეწოლის პასუხად, სულაც გამოვიდა „ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან" და ახლა თავისი „შემკავებელი ძალის" განვითარებას იმუქრება.

თუმცა ირანი ირწმუნება, ბირთვული ელსადგურები იმისთვის გვინდა, რომ ჩვენი ნავთობი საექსპორტოდ დავზოგოთო, დასავლეთს ეს არ სჯერა. ირანის ნავთობის საბადოებიდან ხომ აუარებელი ბუნებრივი გაზი გამოდის და მისი გამოყენება უფრო იაფ ენერგიას მოგვცემს, ვიდრე ბირთვული სადგურები. გარდა იმ ერთი რეაქტორისა, რომელსაც რუსეთი უშენებს, ირანი თვითონ აპირებს სხვა რამდენისამე დადგმას, ამავე დროს დაბეჯითებით ირწმუნება, იმ რუსების აშენებულშიც ჩვენი ხალხი იმუშავებს და არა რუსებიო.

აქამდე ირანმა ერთი-ორჯერ უხალისოდ დაუშვა ინსპექტორები თავისი ბირთვული მშენებლობების ახლო ზონაში და ამ დათვალიერების შედეგად იძულებული იყო ალეარებინა, რომ მართლაც ყიდულობს ურანის გამამდიდრებელ მოწყობილობას საზღვარგარეთ და მართლაც ექსპერიმენტებს ეწევა ზოგ ბირთვულ მასალაზე. მაგრამ იმას, რომ ფარულად აწარმოა ურანის გამდიდრება, იგი კატეგორიულად უარყოფს. სააგენტოს ამაშიც ეჭვი ეპარება. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ ირანის ბირთვულ ძალისხმევათა რაღაც ნაწილი აზრს კარგავს, თუ იგი არ შედის ბირთვული ბომბის შექმნის გეგმაში. საეჭვოა ისიც, რომ ირანმა დიდხანს არ შეუშვა უცხოელები თავისი ახალი ბირთვული საწარმოს სიახლოვეში ნათანცში და ამ ხნის მანძილზე იქ რაღაც ფარული სამზადისი მოახდინა მათ მისალებად. მისი წინადადება წინასწარი „მოლაპარაკების" შესახებ „ფეხის თრევის" პოლიტიკადაა მიჩნეული.

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ ირანი დაყენებული იყო არჩევანის წინაშე: ან იგი კვლავინდებურად იმუქრება „გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან" გასვლას და შორს იჭერს ინსპექტორთა შეშვებას, რითაც აძლიერებს დაძაბულობას, რომლის პირობებშიც ამერიკელები არ გამორიცხავენ „სამხედრო დარტყმას ირანზე", ისრაელები კი ლამის გეგმავენ მას, და, ამასთანავე, უმძიმესი ეკონომიკური სანქციების წინაშე დგება. უფრო მეტი: რუსეთიც კი უარს ამბობს მის მიერ აშენებული ბუშერის რეაქტორისათვის გახლეჩადი მასალების მიწოდებაზე. მეორე არჩევანად კი ის რჩებოდა, რომ ხელი აელო წარსულის პრაქტიკაზე და თავისუფლად შეეშვა ინსპექტორები, სადაც სთხოვდნენ. მაგრამ, როგორც აღნიშნავს „THE ECONOMIST", ეს ჯერ კიდევ არ იძლევა „სამწუხაროდ", დასავლეთთან ურთიერთობაში დიდი კრიზისის დაძლევის იმედს. ირანის სიჯიუტე განსაკუთრებით საშიში იქნებოდა იმ მხრივაც, რომ ანალოგიური ამბიციების მიზეზი გახდებოდა საუდის არაბეთისთვის, ეგვიპტისა და თურქეთისათვის.

საბედნიეროდ, რამდენიმე დღის წინ ირანმა თანხმობა განაცხადა.

# ამერიკელების გასაჭირი ერაყში „ვერავინ გვიშველის ჩვენი თავის გარდა"

ერაყში გაეროს დასაქმების გეგმა აეჭვებს არა ამერიკელებს და ერაყელებს, არამედ თვით გაეროსაც იმის მიუხედავად, რომ მან, ომის დამთავრების წუთიდან დღემდე, ერაყში საშუალოდ თითო წუთში 25 ტონა მარცვლეულის ტოლფასი საკვები გზავნა. გაეროს მისიის თანამშრომლები ხუმრობენ, ჩვენი ამოცანაა ამერიკული ოკუპაციის გადარჩენა და არა ერაყისაო. გასული შვიდი წლის მანძილზე მომუშავე პროგრამას „ნავთობი საკვების სანაცვლოდ" (ერაყს აყიდინებდნენ მხოლოდ იმდენ ნავთობს, რომ კვების ხარჯი დაეფარა), რომელიც თავიდან ბოლომდე გაეროს ხელში იყო, რის გამოც ნავთობსაც და საკვების შემოტანასაც მთლიანად გაერო აკონტროლებდა, ნოემბერში ვადა გაუდის. რა იქნება ამიერიდან? გაეროს რეზოლუციით 1483, რომელიც დღეს ძალაშია, ერაყის ნავთობის შემოსავალმა მთლიანად უნდა მოიყაროს თავი „ერაყის განვითარების ფონდში". ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უნდათ, რომ ამ ფონდის განმკარგავ ჯგუფში, რომელიც ჯერ არ დაკომპლექტებულა, ამერიკელები რაც შეიძლებ გვიან მიუშვან. ბუშმა რომ ამას წინათ ერაყისა და ავღანეთისთვის 87 მლრდ. დოლარი გაიღო (აქედან — 20 მლრდ. ერაყის განვითარებისათვის 2004 წელს), ამან სხვა დონორთა რეალური მონაწილეობის პრობლემა 2005 წლისთვის გადაწია. ერაყის ბიუჯეტის განსაზღვრაში 2003 წლისათვის ერაყელმა მინისტრებმა მცირე როლი ითამაშეს, მაგრამ 2004 წლისაში მათი როლი დიდია. ეს პირველი შემთხვევაა გასული 7 წლის მანძილზე, რომ ერაყელები თავის ნავთობს თვითონ გაყიდიან, და ბუნებრივია, რომ მათ გაეროს ჩარევა აღარ უნდათ. ეს ბიუჯეტი 13 მლრდ. დოლარია, ძირითადად — ნავთობის შემოსავალი და იგი თითქმის მთლიანად ხელფასებს მოხმარდება. ამერიკელების 20 მილიარდს ამერიკელი ადმინისტრატორი ბრემერი განკარგავს. იგი დაიხარჯება, ძირითადად, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ელექტროენერგიის, ნავთობწარმოებისა და საჯარო სამუშაოების (კომუნალური და სხვა) ჩათვლით. შემსრულებელ ფირმებს (ამერიკულს) ბრემერი ირჩევს, გაეროს პროტესტების მიუხედავად. ერაყელები, არსებითად, წინააღმდეგნი არ არიან, რადგან ინფრასტრუქტურის განვითარება უხარიათ. ამავე დროს ისინი „ნაციონალისტები" არიან და გულით მხარს უჭერენ ნავთობის სამინისტროს კედელზე ამოკვეთილ წარწერას „არაბული ნავთობი — არაბებს!". მათი ამ განწყობის დაკმაყოფილებას ემსახურება ამერიკელთა დაპირება, რომ ნავთობის საწარმოთა პრივატიზება, გაიჯარება და დაგირავება გადადებული იქნება მანამდე, სანამ ერაყი თავის სუვერენიტეტს არ დაიბრუნებს.

ამ რეკონსტრუქცია-განვითარების გეგმებში, რომლებიც ამერიკული 20 მილიარდით ფინანსდება, არის ინტერესთა დაპირისპირებებიც, მაგალითად, ერაყელებს ძალიან აინტერესებთ, შეკვეთების რა ნაწილს მიიღებენ ერაყული სამშენებლო ფირმები. ამერიკელები წინააღმდეგნი არიან, რომ აუდიტი ყველა მსურველებმა ატარონ, მაგრამ მათ უკვე შექმნეს პროცესთა გამჭვირვალობის უპრეცედენტო პირობები, როცა ყოველ დეტალს შეგიძლიათ ინტერნეტში თვალი ადევნოთ სულ რამდენიმე წუთის შეყოვნებით.

2005 წლისთვის, ვარაუდით, ერაყის ნავთობმა წლიურად 20 მლრდ. დოლარს უნდა მიაღწიოს და მაშინ ერაყი თვითონ დააფინანსებს თავისი ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯებს. ამერიკელების წილი იქნება მხოლოდ ხელშეკრულება, რომლითაც ერაყი — იმ დროს უკვე სავსებით სუვერენული — ამერიკელების სამხედრო ბაზების უსაფრთხოების გარანტიას იკისრებს. ასეთია, „THE ECONOMIST-ის სიტყვით, „ამერიკელთა ოცნება". რეალობა არც ისე ვარდისფერია. აფეთქებებმა (დროებით) გადაკეტა ჩრდილოეთი ნავთობსადენი თურქულ პორტ ჯეიჰანისკენ, რამაც ნავთობის შემოსავლები ერთი მესამედით შეამცირა. ჯამში, დღევანდელი ექსპორტი განზრახულის მხოლოდ ნახევარია — 500 მილიონი ბარელი თვეში. საბოტაჟი ემუქრება ერაყის განზრახულ 13 მილიარდიან ბიუჯეტს 2004 წლისთვის, რომელიც ზემოთ ვახსენეთ.

ამერიკული 20 მილიარდიდან 5 მილიარდი ერაყის შეიარაღებული ძალებისთვისაა განკუთვნილი. 40 ათასიანი არმიის შექმნის პროგრამა, რომელიც 3 წლისთვის იყო განზრახული, 1 წლამდე შემჭიდროვდა. პოლიცია და მესაზღვრეები 90 ათასი იქნებიან, მაგრამ საეჭვოა ეს საკმარისი იყოს. ამერიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს გათვლით, რომელიც ბალკანეთის გამოცდილებას ემყარება, მშვიდობის დაცვას 500 ათასი კაცი სჭირდება. დღეს ამერიკელებს, მათი მოკავშირეებითურთ, სულ 155 ათასი კაცი ჰყავთ. ჯარისკაცებზე თავდასხმები ხშირდება. ერაყელების ერთხმა აზრია, რომ მშვიდობის დამცველები არ სჭირდებათ: დაე, უცხოელები გავიდნენ და ჩვენს თავს ჩვენ თვითონ მოვუვლითო.

ამერიკელები საკმაოდ მკაცრად სდევნიან — სახელდობრ, სამუშაოდან ათავისუფლებენ სასამართლოს გარეშე (სათანადო ტრიბუნალი ჯერაც ვერ შექმნილა) — მათთვის საეჭვო პირებს, რითაც ნოყიერ ნიადაგს უქმნიან და შურისძიების მოშურნე კადრებით ამარაგებენ წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციებს. ასე რომ, ნავთობის სამინისტროს ერთი თანამშრომლის სიტყვით, თურმე ზოგ აფეთქებას ნავთობსადენებზე ზოგჯერ სათანადო ადგილის პროფესიონალი მიმთითებელიც კი ჰყავს ხოლმე. მომავალში მოსალოდნელია უსაფრთხოების კიდევ უფრო მწვავე პრობლემების გაჩენა. ამერიკელების რეალისტურმა მიდგომამ — სხვადასხვა თემების ურთიერთგამიჯვნამ და ამ გზით აღიარებამ (შიიტები, სუნიტები, ქურთები, ქრისტიანები, თურქმენები...) შეარბილა და მოსხნა კიდეც მანამდე არსებული სუნიტური ზეწოლა, მაგრამ გამოიწვია მრავალი ერაყელის შიში, რომ ამერიკელები ერაყს შლიან. საგარეო საქმეთა მინისტრად ქურთი ზაბარი ჰყავთ. თემებად დაყოფის პოლიტიზაცია იწვევს არაფორმალური შეიარაღებული რაზმების (მილიციების) გაჩენას და მასობრივ შეიარაღებას ერთიმეორის საპირისპიროდ (მაგ. სუნიტებისა და შიიტებისას). ქურთული რაზმების მიმართ (ჩრდილოეთში) ტარდება მათი „ინტეგრაციის" პოლიტიკა პოლიციაში, სასაზღვრო დაცვაში და ტყის დაცვაში დასაქმების სახით.

ეს ვითარება, ბუნებრივია, დაუძლეველ დაბრკოლებად ელობება ისეთი კონსტიტუციის დაწერის ამოცანას, რომელიც ყველა ჯგუფს დააკმაყოფილებს. პირველი მონახაზი შუა სექტემბერში უნდა წარმოდგენილიყო, მაგრამ მუშა ჯგუფი ახალ ვადას მოითხოვს. ყველაზე მწვავედ დაპირისპირებულნი არიან ქურთები, რომლებიც ამერიკისებრ ფედერალურ სახელმწიფოს ითხოვენ, და შიიტები, რომლებიც მოითხოვენ ყველა საკითხთა გადაწყვეტის გადადებას ამერიკელთა წასვლამდე. ისინი შიშობენ, რომ ამერიკელები შეუშლიან მათ რელიგიისა და სახელმწიფოს დაკავშირებაში. შიიტები ითხოვენ დამფუძნებელი კონგრესის არჩევას, რადგან პირდაპირ ჩვეულებრივი არჩევნების ჩატარება არსებულ ვითარებაში შედეგს ვერ მოიტანს. ქურთები, რომლებსაც მცირერიცხოვანი ძლიერი მინისტრები ჰყავთ, მაგრამ ბატონობენ საკონსტიტუციო კომიტეტში, უფრო ჩქარობენ და მოითხოვენ ყველა საგუბერნატოროდან წარმომადგენლების არჩევას, რომლებიც კონსტიტუციას დაწერენ და პლებისციტზე გამოიტანენ. განსხვავებული პოზიციები ერაყს გაყოფით ემუქრება.

არაბები ეჭვობენ, რომ ამერიკელები დეცენტრალიზაციის საბაბით ფედერალურ სისტემას ნერგავენ. შეუძლია თუ არა და ჰმართებს თუ არა გაეროს, დაიცვას თავისი ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრის მთლიანობა? არაბები ფიქრობენ, რომ „ჰო". ისინი მომხრენი არიან გაეროს მონაწილეობისა კონსტიტუციის დაწერაში. მათ მიაჩნიათ, რომ დამოუკიდებლობისკენ სვლაში მათ გაერო უკეთ დაეხმარება, ვიდრე ამერიკა, და რომ მას ჰმართებს არჩევნების ვადები და ქალაქებიდან ამერიკელების გასვლის ვადები განსაზღვროს, თუმცა ამ პროცესში არც მან უნდა გადააჭარბოს თავის კომპეტენციას.

## რუსულ-ამერიკული ურთიერთობები დღეს

ეს ურთიერთობები, THE ECONOMIST-ის აზრით, „თბილი და ბუნდოვანია". მუდმივი ფაქტორია ბირთვული სუპერძალების ყოველდღიური თანხმობის აუცილებლობა (შეიარაღებათა კონტროლზე, გაუვრცელებლობაზე და ა.შ.), რომლის ტექნიკასაც მხარეები კარგად ფლობენ. ეს აუცილებლობა განაპირობებს იმას, რომ პუტინის და ბუშის დიპლომატები გაჩქარებით მუშაობენ იმ შთაბეჭდილებათა გაქარწყლებაზე, რაც დატოვა მათში წინააღმდეგობამ ერაყის ომის დროს, როცა რუსეთი, საფრანგეთთან და გერმანიასთან ერთად ამ ომს მხარს არ უჭერდა. დეტალებში ურთიერთობა ნაკლებ თბილია. ვაჭრობა მას მაინცდამაინც დიდ კვალს არ აჩნევს, რადგან იგი მცირეა (აშშ ვაჭრობის 1% და რუსეთის ვაჭრობის 5%). რაც შეეხება მხარეთა სანავთობე ინტერესებს (რუსეთის ექსპორტს ამერიკაში), აქ ამერიკელები ჯერჯერობით ბუნდოვან საუბარს არჩევენ (სანამ ზუსტად ეცოდინებოდეთ, როგორ და რამდენად დადგება ფეხზე ნავთობის წარმოება ერაყში), რუსები კი იმდენად ესწრაფიან ნავთობის გატანას, რომ ყველა შესაძლებლობები უკვე ყოველმხრივ გათვლილი აქვთ.

## პაპი ფიქრობს თავის მონაცვლეზე



83 წლის პაპი იოანე-პავლე II ფიქრობს თავის მონაცვლეზე. ამისთვის მან დაასახელა კარდინალობის 31 ახალი კანდიდატი. კარდინალებს, რომლებიც იმ წუთისთვის 80 წელს მიღწეულნი არ იქნებიან, მოუწევთ ახალი პაპის არჩევა, როგორც კი ძველი აღარ იქნება. დღეს ამ უფლებით აღჭურვილია 109 კარდინალი, რომელთაც სულ ახლო მომავალში ზემოხსენებული 31 შეემატება (THE DAILY TELEGRAPH).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკელები გაეროს დახმარებას ეძებენ

სექტემბრის დასაწყისში ბუშმა უთხრა ამერიკელებს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის ძირითადი ფრონტი ერაყია. ამით მან ერაყში ამერიკელების შეჭრას კიდევ ერთი საფუძველი მოუძებნა: ომის გადატანა საკუთარი ტერიტორიიდან მოწინააღმდეგისაზე. ბინ ლადენის გუნდის აქტიურობა, რომელიც თავის მებრძოლებს მოუწოდებს, ამერიკელებს ისე დაერიონ ერაყში, როგორც ლომი თავის მსხვერპლს, დამარწმუნებლობას ჰმატებს პრეზიდენტის ამ თეზისს. მაგრამ ეს თეზისი კურსის ერთგვარ შეცვლასაც ნიშნავს: ტერორიზმთან ომი მსოფლიო ამოცანააო და არა ამერიკული. მაშასადამე, თუ ბუში აქამდე ერაყის პრობლემის გადაჭრას ამერიკის ერთპიროვნულ პასუხისმგებლობად თვლიდა, მისი ამ განცხადების შემდეგ იგი კაცობრიობის ერთობლივ ამოცანად ცხადდება. ამერიკელები საჭიროებენ დახმარებას და მზად არიან მიიღონ იგი ვისგანაც გნებავთ.

თუ ამერიკელები გეგმავდნენ მაისშივე ერაყში მხოლოდ 30 ათასი სამხედრო მოსამსახურე დაეტოვებინათ, დღეს იქ მათი 130 ათასია, მთლიანად კოალიციისა — 145 ათასი. ერაყის ნავთობმოპოვება, დივერსიების შედეგად, ვერ ავიდა ჯერ იმ ნიშნულზე, რომელიც საჭიროა, რომ ერაყის აღდგენა-განვითარების პროგრამა დააფინანსოს. პაუელის განცხადებით, ამერიკელებს ერაყში მეტი პრობლემები დახვდათ, ვიდრე მოელოდნენ. ამერიკელების სურვილია, გაერომ მიიღოს ამერიკული ოკუპაციის მხარდამჭერი რეზოლუცია, რათა ერაყში გაიგზავნონ სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალებიც გაეროს მანდატით, მაგრამ ამერიკული სარდლობის ქვეშ მოსაქცევად. შემდეგ, როცა უსაფრთხოება დამყარდება, კონტროლი პირდაპირ ერაყელებს უნდა გადაეცესო. მაგრამ ბრიტანელებს მიაჩნიათ, რომ ამერიკელები პოლიტიკურ კონტროლს წამითაც არ გადასცემენ გაეროს, თუმცა შეიძლება მომავალში დაუშვან ერაყში ნატოს მონაწილეობა სიტუაციის მართვაში.

ვინაიდან საჭის გადაცემა ერაყისათვის ყველას ხელს აძლევს, მათ შორის საფრანგეთსა და გერმანიასაც, რომლებიც ომის დაწყებას ეწინააღმდეგებოდნენ, ისინი მხარს უჭერენ ამერიკელთა წინადადებას გაეროს მიერ ახალი რეზოლუციის მიღების შესახებ. ფრანგები ღიად აცხადებენ, რომ უკმაყოფილონი არიან ამერიკელების მიერ ერაყელებისათვის საჭის გადაცემის ნელი ტემპისა, მაგრამ რეალურად თანახმდებიან — რადგან წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ — გაეროს მანდატით მოქმედი მომავალი სამხედრო ძალის სათავეში ამერიკელის დგომასაც და ერაყში ამერიკელი ადმინისტრატორის — პაულ ბრემერის — ყოფნასაც. იმასაც ითხოვენ და იმედოვნებენ, რომ თუ ერაყში გაეროს დიდი ძალა გაიგზავნება, იგი პასუხისმგებელი იყოს გაეროს ეგიდის ქვეშ მყოფი ხელისუფლების წინაშე, აგრეთვე ითხოვენ, რომ რეზოლუციაში განსაზღვრული იყოს ერაყის დროებითი მთავრობის დასმისა და საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მკაფიო ვადები. ისევე, როგორც საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში ვეტოს არ დაადებს გაეროს რეზოლუციას ერაყის დარეგულირებაში ამ ორგანიზაციის ჩაბმის შესახებ, გერმანიაც ხმას არ მისცემს მის წინააღმდეგ. მაგრამ იგიც მოითხოვს ამ მოქმედებათა ვადის განსაზღვრას. გარდა ამისა, გერმანელებს აქვთ შესწორებები რეზოლუციის პროექტის ტექსტისათვის. როგორც მინიმუმი, ისინი მოითხოვენ ცენტრალურ როლს გაეროსათვის და „სრულ გამჭირვალობას" ერაყის აღდგენის ღონისძიებებში. 10 დეკემბერს გერმანიამ, საფრანგეთმა და რუსეთმა ერთობლივად განაცხადეს თანხმობა იმაზე, რომ სამხედრო ხელმძღვანელობა ამერიკელების ხელში იყოს, მაგრამ სამოქალაქო კონტროლი სასწრაფოდ გადაეცეს სხვებს.

თუმცა ბევრ ქვეყანას უკვე ჰყავს თავისი ჯარი ერაყში, სხვათა დაყოლიება ჯარის იქ გაგზავნაზე ძნელია. ამერიკელებს განსაკუთრებით უნდათ იქ ინდოეთის, პაკისტანის, თურქეთისა და ბანგლადეშის მონაწილეობა. მაგრამ ინდოეთმა ერთხელ უკვე უარია უთხრა მათ და განაცხადა, რომ კიდევ იფიქრებს, თუ გაეროს ახალი მანდატი იქნება, მაგრამ რაკი დღევანდელ ომს უკანონოდ თვლის, ახლა ამ არაპოპულარულ ნაბიჯს ვერ გადადგამს. მოსალოდნელია, რომ ინდოეთი მომხრე იქნება გაეროს როლის გადიდებისა როგორც პოლიტიკური დარეგულირების პროცესში, ისე სამხედრო ხელმძღვანელობაში.

ამერიკელებიც დაინტერესებულნი არიან საერთაშორისო ფინანსურ მონაწილეობაში, ვინაიდან ერაყის ეკონომიკური აღდგენა უპრეცედენტოდ ძვირი ჯდება. 79 მილიარდი დოლარი უკვე გაღებულია, მას ემატება ახალი 87 მილიარდი, რომელიც უკვე კენჭნაყარია კონგრესის მიერ (მასში 51 მილიარდი სახელდებით ერაყისთვისაა გამიზნული). ეს თანხა თითქმის ათჯერ აღემატება წინა ომის ხარჯს, რომელიც დიდწილად სხვათა მიერ იყო დაფინანსებული და არა ამერიკელთა მიერ. ერაყში ჯარის შენახვა ჯდება 3,9 მილიარდი დოლარი თვეში, ასე რომ 51 მილიარდი მხოლოდ ერთი წლის სამყოფია. ამერიკელები მოელიან, რომ სხვა დონორებმა ერაყისთვის 30-55 მილიარდი დოლარი გაიღონ.

# გერმანიის საგარეო პოლიტიკა

THEECONOMIST დღეს გერმანიის საგარეო პოლიტიკაში ორ არათავსებად მიზანს ხედავს: **პირველი**. დაარწმუნოს ყველა, რომ გერმანია მომხრეა მრავალმხრივობისა პოლიტიკაში, და არ გაალიზიანოს ბუში, რომელსაც არ დაჰვიწყებია ერაყის ომის გამო ფრანგულ-გერმანულ-რუსული ფრონტის მიერ მიყენებული წყენა. დღეს გერმანიას უნდა, ერთი მხრივ, არ დააზარალოს თავისი მეგობრობა საფრანგეთთან, რომლის პოზიციასაც იგი ესოდენ მნიშვნელოვან საკითხში, როგორც ერაყის ომია, პირველად მიემხრო ამერიკელების ნების საწინააღმდეგოდ. მეორე მხრივ, მას უნდა დარჩეს ამერიკელებისთვის ერთ-ერთ შუამავლად მომავალ მოლაპარაკებებში მათსა და ფრანგებს შორის. თუ გერმანელებმა სავსებით ველარ მოიგეს ამერიკელების გული (რაც ძალიან ძნელია), გერმანელები კარგავენ შუამავლის — და, მაშასადამე, ცენტრალური ფიგურის — როლსაც მთლიანად ევროპასა და აშშ-ს შორის და ევროპის დიდ ქვეყნებსა და პატარა ქვეყნებს შორის. ასე რომ, ჯამში, რაც არ უნდა გააძლიეროს გერმანიამ თავისი ზოგადი ევროპეიზმი ამერიკელთა საწინააღმდეგოდ და რაც უნდა ეცადოს ევროპის საკუთარი ნაკრები ძალების შექმნას, იგი ამ საქმიანობას არასოდეს მიიყვანს ნატოსთან დაპირისპირებამდე მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის საგარეო მინისტრი იოშკა ფიშერი იმთავითვე წინააღმდეგია თუნდაც ერთი გერმანელის გაგზავნისა ერაყის საოკუპაციოდ.

ყოველივე ამით იქმნება შთაბეჭდილება, რომ გერმანიის პოლიტიკა უბრუნდება თავისი სრული „პროგნოზირებადობის" — ანუ მართვადობის — მდგომარეობას. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. გერმანიაში ილვიძებს კითხვა, არის თუ არა გერმანიისთვის ეროვნული ინტერესი ის, რასაც იგი პრაქტიკულად იქმს — სრული თავისუფლება ეროვნული ეგოიზმისგან ევროპულ ინტერესებთან და, რასაკვირველია, ზოგადდასავლურ ინტერესებთან მიმართებაში? ასე რომ, ფიშერის ტრადიციული გერმანული პოზიცია, რომელიც 1945-დან შეიქმნა — რაც კარგია ჩვენი მეგობრებისათვის, ის თავისთავადვე კარგია გერმანიისათვის — უკვე სკეპტიციზმს იწვევს. თუ საზოგადოების 68% ერთი წლის წინ ფიქრობდა, რომ მსოფლიო საქმეებში ამერიკის ლიდერობა კარგია, დღეს ამ აზრს 45%-ღა ადგას. ხოლო იმათმა რიცხვმა, ვისაც უნდა, რომ ევროკავშირი სუპერძალად იქცეს, ამ ხნის მანძილზე 48%-დან 70%-მდე აიწია. იმ აზრს, რომ ევროპას მაინც ამერიკელებთან თანამშრომლობა უფრო ჰმართებს, ვიდრე მეტოქეობა, დიდი უმრავლესობა იზიარებს. „პროამერიკელობას" უფრო ბევრნი განიცდიან უხერხულ რადმე, ვიდრე ადრე თვლიდნენ.

გერმანიის ზოგადი საგარეო კურსის განსაზღვრაში მნიშვნელობა ექნება პოლიტიკოსთა პიროვნებებსაც. შროდერი პირველი კანცლერია (სახელმწიფოს პირველი პირია), რომელიც დაიბადა II მსოფლიო ომის შემდეგ და ამიტომაა, რომ იგი თავისუფალია გერმანიის ბრალეულობის განცდისაგან და ფიქრობს, რომ გერმანიის პოლიტიკური კურსი გერმანიაშივე უნდა დგინდებოდეს. მაგრამ თვით შროდერიც რომ აღარ იყოს, ეს განწყობა მაინც ძალაშია და მისი გადასინჯვა, ალბათ, აღარ მოხდება.

# ევროკავშირი და ნატო — ჩანჩნარება ქარიშხალთა შორის

ევროპის საკუთარი ძალების შექმნის გეგმა (ევროკავშირს უკვე მოეპოვება საკუთარი გენშტაბი, მაგრამ იგი გეგმავს, უფრო, ზოგად სტრატეგიას, ვიდრე ოპერაციებს) ამერიკელებისთვის მისასალმებელიცაა (რადგან ამით მცირდება მათი სათავდაცვო ტვირთი) და დასაფიქრებელიც (რადგან ამით იზრდება ევროპელების მათგან დამოუკიდებლობის ხარისხი). მიჩნეულია, რომ არ უნდა შეიქმნას ევროკავშირის მომავალი ძალებისა და ნატოს ძალების პარალელიზმი არც ფუნქციების მხრივ, არც ბაზებისა და სათავდაცვო ნაგებობების მხრივ. ფრთხილი საუბარია ევროკავშირის ქვეყნების „სტრუქტურირებული თანამშრომლობის" შესახებ თავდაცვის დარგში, რაც, პრაქტიკულად, იმას ნიშნავს, რომ ევროპის უფრო ბრძოლისუნარიან ქვეყნებს შეეძლებათ მოქმედება შედარებით სუსტებისაგან დამოუკიდებლადაც. ამ ხერხს საერთო საქმისათვის ღირებულება ექნება, კერძოდ, იმ შემთხვევაშიც, თუ ევროკავშირი გაფართოვდება სამხედრო თვალსაზრისით ჯერ სუსტ ახალ ქვეყანათა შემომატებითაც. რამდენად და რა სახით იქნებიან პირველნი ანგარიშვალდებულნი მეორეთა წინაშე თავისი მოქმედებისათვის, ესეც ჯერ გასარკვევი რჩება. ამ მოსინჯვათა და საუბართა საერთო ფონი ის არის, რომ ნატო, როგორც ორგანიზაცია, ძლივს გადაურჩა განხეთქილებას ერაყის ომზე უთანხმოების დროს და მისი წევრები ფრთხილად არიან, რათა ახალი კონფლიქტები არ გამოიწვიონ.

# რაზე დავობენ გაეროში?

ამერიკელთა და ფრანგთა დავა გაეროში საკმაოდ მწვავეა. ფრანგები (და მათთან ერთად — გერმანელები და რუსები) ამტკიცებენ, ერაყში ჯარების ამოქმედება უშიშროების საბჭოს ცალსახა განკარგულების გარეშე საერთაშორისო სამართლის დარღვევა იყოო, ამერიკელები კი პასუხობენ, ასე იყო თუ ისე იყო, რაკი უშიშროების საბჭოსაგან აუარებელი გაფრთხილება გაიგზავნა, ახლა ამ უკანასკნელთა არშემაგრება შეიარაღებული მოქმედებით მსოფლიო წესრიგს დააზარალებსო. შირაკი საქმეს ასე ხატავს: დაუბრუნეთ ერაყელებს მათი ქვეყნის გამგებლობა, რომელიც დღეს ამერიკელებს და ინგლისელებს უჭირავთო. მაგრამ THE ECONOMIST-ის აზრით იგი საქმეს სწორად ვერ ხედავს: დროებითი საბჭო, რომელიც დღეს ერაყში არსებობს და, ძირითადად, ნაემიგრანტალი ერაყელებისგან შედგება, არც ისე ავტორიტეტულია და არც ისე ძლიერი, რომ ხელისუფლება მას მიეცეს. ჯერ უნდა ჩატარდეს არჩევნები და შემდეგ ხელისუფლება იმ არჩეულებს უნდა გადაეცეთო.

მეორე დავა ეხება იმას, ომის მომგებ ამერიკელ-ინგლისელთა ხელში უნდა დარჩეს მანამდე ერაყის ოკუპაცია და გამგებლობა თუ უფრო ფართო კოალიციის ხელში. ამერიკელებს მეორე უნდათ.




# აღმოსავლეთევროპელები დასავლელებს უჯანყდებიან

აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანა რომ 2004 წელს ევროკავშირში შესვლის პატივსა და ბედნიერებას ეღირსება, ეს მათ გასულ თებერვალში შეიტყეს ოფიციალურად ჟაკ შირაკის პირიდან. მათ განზრახული ჰქონდათ წყნარად მსხდარიყვნენ ამ საპატიო და ფრიად სახეირო კლუბში, რომელშიც მიღებას უპირებდნენ, და უხმოდ შეესწავლათ ახალი სიტუაცია, რომელშიც ისტორიის ჩარხმა მოათავსა. მაგრამ ამერიკელებთან ერაყის ომის გამო წაჩხუბებულმა შირაკმა მათ შეურაცხყოფა მიაყენა, ურჩია რა, რომ საკუთარ საქმეს მიჰხედონ, ხოლო ერაყის თემაზე „მოკეტონ". ეგრე არ უნდაო და შეურაცხყოფილმა აღმოსავლელებმაც თავისი პასუხი არ დააყოვნეს. ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკრიტიკა პროექტი და განაცხადა, „ვერავინ შეგვზღუდავს ჩვენი პოზიციის არჩევაშიო". საქმე ეხება, კონკრეტულად, კონსტიტუციის იმ პუნქტს, სადაც ნათქვამია, რომ კავშირის აღმასრულებელ ორგანოში, ევროკომისიაში, 15 კაცი უნდა იყოს (თითო მონაწილე სუბიექტისაგან 3 სული), და არა ოცდახუთივე წევრისაგან თითო-თითო. რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს ძველი წევრების, ამ უკანასკნელებში კი — დიდი წევრების (საფრანგეთი, გერმანია, იტალია) უპირატესობასაც. პოლონეთს ემხრობიან ესპანეთი და, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთ ევროპელებიც, რომელთაც გაწევრიანება 2004 წელს უწევთ. ამავე კოალიცია უნდა, შეცვალოს კენჭისყრის პროცედურა ევროპის მინისტრთა საბჭოშიც, რომელიც ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციას ასრულებს და რომელშიც მინისტრები ხმას აძლევენ ახალ კანონპროექტებს. დღეს დიდ და პატარა ქვეყნებს ხმათა დაახლოებით ერთი რაოდენობა აქვთ კენჭისყრების დროს. ხოლო ახალი კონსტიტუციის პროექტით ხმათა რაოდენობა შესაბამისი მოსახლეობების დაახლოებით პროპორციული ხდება. ევროპის კონსტიტუციის პროექტი გულისხმობს, რომ კენჭისყრისას ახალი კანონის მიღებისთვის საკმარისი უნდა იყოს ქვეყნების უბრალო უმრავლესობის ხმა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ უმრავლესობის შემადგენელ ქვეყანათა მოსახლეობა ჯამში მთელი ევროპული მოსახლეობის 60%-ს აღემატება. ახალი კანდიდატების კრიტიკული პოზიციები ფაქტობრივად მიმართულია, პირველ ყოვლისა, გერმანიის წინააღმდეგ, რომელსაც ევროპული კონსტიტუციის უცვლელად მიღება ჰსურს.

საქართველო

## ირაკლი ცინცაძე:
# „ფორმალურად კი არა, ნამდვილად ვიქნები ხალხის მსახური“

კარგია, როცა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებად ახალგაზრდები ირჩევიან, რადგან, ვინ არ იცის, ახალგაზრდობა სხვა ძალაა, სხვა შემართება, იდეებისა და მრწამსისადმი ერთგულება.

ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირიდან კრწანისის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილია 33 წლის ენერგიული, ორფაკულტეტდამთავრებული ირაკლი ცინცაძე. ადრეც უყრია კენჭი თავისივე — კრწანისის რაიონში და გაყალბების მწარე შედეგების გამო ვერ გაუმარჯვია. ახლა კი გამარჯვებისა მთელი არსებით სჯერა ბატონ ირაკლის, რადგან ისიც ღრმად სწამს, რომ მისი მზრუნველი ბუნება ადამიანებს სწორედაც გაჭირვებაში წაადგება, რადგან, დღევანდელ დეპუტატთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, მას უყვარს ადამიანი, უყვარს ქართველი კაცი.

●

*— ბატონო ირაკლი! რა განათლება გაქვთ მიღებული და სად მუშაობთ?*

— 1995 წელს დავამთარე ჯერ ისტორიული, ხოლო შემდეგ — საინჟინრო-სამშენებლო ფაკულტეტი. ვმუშაობ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელსაც ჰქვია საქართველოს პენსიონერთა ასოციაცია. მე ამ ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ვარ.

*— თქვენ კენჭს იყრით მაჟორიტარ დეპუტატად კრწანისის რაიონში „ეროვნული თანხმობა-იბერიის გაბრწყინების“ საარჩევნო ბლოკიდან. მომიტევეთ და, გაქვთ თუ არა სამისო ძალა, უნარი და ცოდნა? ხალხის სამსახურს ხომ ეს ყველაფერი მოჭარბებით ესაჭიროება?*

— 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტების სახელით კენჭს ვიყრიდი ამავე — კრწანისის რაიონიდან და საკმაოდ კარგი შედეგიც მქონდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკმაოდ „წონიანი“ მოწინააღმდეგეები მყავდა.

*— ღმერთმა ქნას და, თქვენ ახლა გაიმარჯვოთ და გახდეთ კრწანისის რაიონიდან დეპუტატი, რას გააკეთებთ ისეთს, რითაც დაამახსოვრდებით თქვენს ამომრჩეველს?*

— წინასწარ ის შემიძლია გითხრათ, რომ კრწანისის რაიონი ძალიან დიდია, იქ არის უამრავი დაუსაქმებელი ხალხი. მჯერა, ადამიანებს შეძლებისამებრ დახმარებას გავუწევ. მე ვიქნები მათი ნამდვილი დეპუტატი, რადგან იქ დავიბადე, გავიზარდე და იქაურებს ახლობლებივით ვიცნობ. ადამიანების დასახმარებლად თავს არ დავზოგავ.

*— ვინ არიან თქვენი კონკურენტები და რომელი ბლოკებიდან თუ პარტიებიდან?*

— სამთავრობოდან — გია გეწაძე, „ახალი მემარჯვენეებიდან“ — დავით ჭეიშვილი, „ნაციონალებიდან“ — პეტრე ცისკარიშვილი და ლეიბორისტებიდან — შატბერაშვილი. სხვები არ მახსოვს. კრწანისის რაიონში გამარჯვების იმედი მაქვს, რადგან იგი ჩემი რაიონია. მე აქ ყველას ტკივილიც ვიცი და სიხარულიც. ვფიქრობ, ეს მრავლისმთქმელი ფაქტია.

●

წარმატება ვუსურვოთ ბატონ ირაკლი ცინცაძეს თავისი მიზნების ასრულების გზაზე და არჩევნებში გამარჯვება — უპირველესად!

*ბელა შალვაშვილი*

# პრეზიდენტი ჩინოვნიკებს თანამდებობებზე კარუსელივით აბრუნებს

დღეს ხალხის „საზრალდებო დასკვნები“, შეიძლება ითქვას, არა თუ მომწიფებულია, არამედ მზად არის. მაგალითად, დადგენილია,

დაუცველია საქართველოში ერიც, ბერიც და ქვეყანაც...

დაუცველია საქართველოში მრავალშვილიანი დედის და მისი შვილების უფლებები...

რომ ქუჩაში სიცივით იყინება თუ შიმშილით იხოცება ჩვენი ხნოვანი მოსახლეობაც და მომავალი თაობაც...

მერიისა თუ კანცელარიის წინ, მშიერი შვილების ხვალინდელი დღით შეშფოთებული, სახეშეშლილი, დამცირებული დედა, ინვალიდი, პენსიონერი და სხვა უმწეო ადამიანი დახმარებას და სამართალს ითხოვს მისივე სილატაკეში და დამცირებაში დამნაშავე სახელმწიფო სტრუქტურებისაგან...

ქვეყანა მიყიდულია და საჩუქრად გადაცემულია ულმობელი მტრისათვის და ასე შემდეგ...

ჩვენ ბრალს ვდებთ უპირველესად:

1. საქართველოს მუდმივ ხელმძღვანელს, პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

2. დღეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, გუშინ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს.

3. დღეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ამირან გამყრელიძეს და სხვა ასობით მაღალი თანამდებობის პირებს,

რომლებმაც ათწლეულების მანძილზე დედაქალაქშიც კი ვერ შეძლეს იმ 6000-მდე მრავალშვილიან — დაუსაქმებელ დედათა ოჯახების აღრიცხვიანობისა და სიმშვიდის მოწესრიგება, [illegible] — საზოგადოების ინიციატივით მათდამი წარდგენილი ეროვნული პროგრამის — „ოჯახი, ადამიანი! შევისწავლოთ, ავღრიცხოთ, დავასაქმოთ.

ულარიბეს ოჯახებს შევუქმნათ სამშობლოში ტრადიციული ცხოვრების ჯანსაღი პირობები“ (კანცელარია წერ. №32,35 31.01.2002 წ. რეგ. №581(15).

ეს პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა კატეგორიისა და სოციალური ფენის ულარიბესი, დაუსაქმებელი მოსახლეობის უმაღლეს დროში (5 თვე) აღრიცხვას, შესწავლას, მათზე საინფორმაციო ბანკის შექმნას, ამასთანავე მათი სილატაკის დონის მიხედვით შესაბამისი პროგრამა — პროექტების მომზადების სპონსორის რეალისტური და დაუზარებელი ძებნის გაადვილების მიზნით.

ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც თითქოს ქვეყანაში „დემოკრატიას“ ამკვიდრებს, არ სურს არც დესტაბილიზაცია, არც ქაოსი და არც ის, რომ მშიერი, ლატაკი მოსახლეობა „ჰყავდეს“. მაგრამ ფაქტი სახეზეა: პრეზიდენტის მიერ დანიშნული „კარუსელზე“ მბრუნავი მაღალჩინოსანი კადრები არაფერს აკეთებენ პრეზიდენტის ვითომდა „ნააზრევის“ ცხოვრებაში განხორციელებისათვის, არამედ, სარგებლობენ რა მისი „ნდობით“ („მეგობრობით“), არა თუ ბოროტად, არამედ დანაშაულებრივად იყენებენ თავის უსაზღვრო შესაძლებლობებს.

**საქართველოს სახალხო ფრონტის სოციალურ საკითხთა დარგობრივი კომისია**

# VII. საქართველოს საგარეო პოლიტიკა

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას ისტორიულად ახასიათებს საგარეო-პოლიტიკურ ამოცანებისათვის პრიორიტეტის მინიჭება საშინაო-პოლიტიკურთან შედარებით: პოტენციალით შეუდარებლად აღმატებულ მოწინააღმდეგეთა მუდმივი ყოლა თავის გვერდით აიძულებდა სახელმწიფოს მთლიანობაში და მის შემადგენელ ფეოდალურ ერთეულებს (შუა საუკუნეებში) თავისი შინაგანი ორგანიზაციის ფორმები, ძირითადად, მუდმივი თავდაცვითი ინტერესების მიხედვით განესაზღვრათ. დღესაც მიზანშეწონილია, საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ამოცანები შიდაპოლიტიკურამდე განისაზღვროს.

**1. საქართველოს ადგილი მსოფლიოსა და რეგიონის ძირითად ძალთა განლაგებაში**
**(ისტორიის კონტურები და დღევანდელი ვითარება)**

ძველ მსოფლიოში საქართველოს (იბერია და კოლხეთი) გეოპოლიტიკური (როგორც ჩანს, სავსებით ცნობიერი) ფუნქცია მდგომარეობდა მის სამხრეთით მდებარე ცივილიზებული სივრცის მოზღუდვაში კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე სივრცეში არსებული ჭარბრესურსიანი ძალების მუდმივი შემოტევისაგან და პერიოდული შემოსევებისაგან (საქართველო "ჩრდილოეთის ქვეყნად" ითვლებოდა). სამხრეთის ძირითადი სახიფათო ძალები იყო სპარსეთი და ბიზანტია, ამათგან პირველი - რელიგიურად მტრული და კულტურულად ნაყოფიერი, მეორე - რელიგიურად იგივეობრივი და კულტურულად ნაყოფიერი. საქართველოს ტრადიციული პოლიტიკა იყო ამ ორთა ურთიერთწინააღმდეგობაზე "თამაში" თავის დაცვის მიზნით და მისი მუდმივი ამოცანა იყო ამ ორს შორის მოცემული მომენტისთვის ყველაზე მომგებიანი ორიენტაციის განსაზღვრა. ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის დაცემამდე ბევრად უფრო ადრეული დროიდან (ფაქტობრივად - XIV საუკუნიდან) ბიზანტიას სახიფათო მეზობლის როლში ჩაენაცვლა თურქობა, ხოლო შემდეგ - ოსმანური სახელმწიფო. ეს იყო რელიგიურად მტრული და კულტურული კონტაქტის თვალსაზრისით უნაყოფო ძალა.

რეგიონის გარეთ მდებარე ძალთაგან საქართველოში მომხდარი შემოსევებია კიმერიელებისა (სავარაუდოდ), მონღოლებისა და თემურლენგისა (ტამერლანისა), რომელმაც საქართველოში 8-ჯერ ილაშქრა.

XVI საუკუნიდან კავკასიაში ჩნდება რუსეთის ფაქტორი და იწყება ქართველი მეფეების ფრთხილი კონტაქტები ამ ახალ ძალასთან, როგორც სამხრეთი აგრესორების პოტენციურ საპირწონესთან. ეს კონტაქტები მთავრდება რუსეთთან "მფარველობითი" ტრაქტატის დადებით (1783) და ამ ტრაქტატიდან იურიდიულად არგამომდინარე ანექსიით, რომელიც რუსეთმა საქართველოს მიმართ ნაწილ-ნაწილ მოახდინა 1801-1856 წლებში. გასული საუკუნის შუამდე და ცოტა უფრო გვიანაც რუსეთი ერთპიროვნულად ფლობს ამიერკავკასიას, საქართველოს ჩათვლით, და მას განიხილავს როგორც შეტევისათვის ახლო აღმოსავლეთზე, რაც მანამდე არსებულ "ინდოეთზე შეტევის" ნახევრად ფანტასტიკურ გეგმას ენაცვლება. რუსეთის ტრადიციული და ცალსახა დაპირისპირება ისლამის სამყაროსთან ამ რეგიონში ირღვევა 1920-იან წლებში, როცა რუსეთი და თურქეთი ერთობლივად ახორციელებენ დარტყმას დამოუკიდებელ საქართველოზე (1921), რაც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით მთავრდება, და შემდეგ ერთობლივად (თურქეთის შეიარაღებული ძალებით და რუსეთის მრავალნაირი დახმარებით) ამარცხებენ საბერძნეთის შეიარაღებულ ძალებს მცირე აზიაში (1922).

დღეს ჩვენს რეგიონში არსებულ ინტერესთა რომელობა და მათი განლაგების ძალხაზები დაახლოებით ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

**ა) დასავლეთის (და ამ რიცხვში - შეერთებული შტატების) ინტერესები.**

მათ პირველს ვახსენებთ, რადგან ეს არის ერთადერთი სასიცოცხლო ხარისხის ინტერესი, რომელიც მსოფლიოს დიდ ძალებს დღეს ამ რეგიონში აქვთ. ისინი მდგომარეობენ შუა აზიისკენ დასავლური დემოკრატიის გატანაში და იქ მყარი საყრდენის შექმნაში მანამდე, სანამ იქ ჩინეთის გადამწყვეტმასშტაბიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული შეღწევა მოხდებოდეს. დასავლეთის წარუმატებლობის შემთხვევაში დიდი ალბათობაა იმისა, რომ მესამე მსოფლიო ომი (გეოპოლიტიკურ ობიექტურ დაპირისპირებათა არსებობის გამო) შედგება და მისი სავარაუდო ფრონტი გაივლის კასპიის ზღვაზე ან, შესაძლოა, შავ ზღვაზეც კი. დასავლეთის წარმატების შემთხვევაში III მსოფლიო ომი ან არ შედგება (ევენტუალური "მოწინააღმდეგის" რინგზე გამოუცხადებლობის გამო), ან შედგება, მაგრამ მისი ფრონტი გაივლის შუა აზიის აღმოსავლეთ საზღვრებზე. პირველ შემთხვევაში საქართველოსთვის გაჩნდება ახალი (დამატებითი) გეოპოლიტიკური საშიშროება: აღმოსავლეთიდან ყოველმხრივი (მათ შორის - დემოგრაფიული) ზეწოლა შუა აზიაზე იქ შექმნის სათანადო "წნევას" შუა აზიაში, ეს "წნევა" დასავლეთისკენ გადაეცემა და საქართველოს "წალეკავს".

**ბ) რუსეთის ინტერესები.** ტრადიციული ინტერესი - სამხრეთისკენ შეტევისა - რუსეთს გადადებული აქვს გაურკვეველი ვადით. დღეს მისი ინტერესებია

- (სიმულირებული) თავდაცვითი ინტერესი თავისი "სამხრეთი საზღვრების დაცვისა" შესაძლო შეტევისაგან, რომელიც არასდროს არ შედგება.

- შეტევითი ინტერესი დასავლეთ-აღმოსავლეთის გზის (ე.წ. "დერეფნის") ჩაკეტვისა, რათა ვერ მოხდეს დასავლეთის შეღწევა შუა აზიაში და ვერ განვითარდეს ინტენსიური ტვირთბრუნვა შავ ზღვაზე დასავლეთსა და შუა აზიას შორის. სამისო საშუალებებია: შეიარაღებული "ნახტომი" ცხინვალიდან ახალქალაქისკენ (ორივეგან რუსეთის ჯარები დგანან); შეიარაღებული ნახტომი ენგურიდან ფოთისკენ; საბაბის პოვნა და მთლიანი შემოტევა საქართველოზე (ან ამიერკავკასიაზე საერთოდ), აქ თავისი პოზიციების შეიარაღებული ძალით აღდგენის მიზნით (ეს მესამე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი დიდი ხნით ჩაფლული აღმოჩნდება საკუთარ პრობლემებში, შორ აღმოსავლეთში ან ახლო აღმოსავლეთში წარუმატებელი ომის სახით).

- შეტევითი ინტერესი კავკასიონის სამხრეთით თუნდ მინიმალური ტერიტორიის მოპოვებისა (თუნდ ოფიციალური პროტექტორატის სახით), როგორც იმის საბაბისა, რომ რუსეთი მეოთხე ამიერკავკასიურ სახელმწიფოდ ჩაითვალოს და, შესაბამისად, ამიერკავკასიის პრობლემებზე "ადგილობრივის" სტატუსით ლაპარაკის შესაძლებლობა მიეცეს.

- შეტევითი ინტერესი (თავისთვის უკეთეს შემთხვევაში) საქართველოში და მთლიანად ამიერკავკასიაში თავისი ძველი პოზიციების მაქსიმალურად შესაძლებელი აღდგენისა სამხრეთის ქვეყნებზე მუდმივი ზეწოლის განხორციელების (მათი "შახის" ქვეშ ყოლის) მიზნით, რისთვისაც, გარდა ზემოხსენებული სამხედრო დარტყმის გზისა, არსებობს გადატრიალებების, ეკონომიკური გაბატონების და სხვა გზები.

- შეტევითი ინტერესი ამიერკავკასიის ყელის გაუვალობის ორგანიზაციისა (დასავლეთ-აღმოსავლეთის "დერეფნის" გადასაკეტად და ამით დროის მოსაგებად) ეკოლოგიური, ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, სოციალური კატასტროფებისა და დესტაბილიზაციის სხვა შესაძლო ფორმების გამოყენებით.

- შეტევითი ინტერესი საქართველოს სახელმწიფოებრიობის და ქართველი ერის დაუძლურებისა იმ ვითარების მისაღწევად, რომ საქართველო მაქსიმალურად ახლო იყოს მრავალეროვანი უნებო ტერიტორიის მდგომარეობასთან, რომლის ჭრელ მოსახლეობაში შესაძლებელი გახდება რუსეთის მიერ მომხრე ჯგუფის (ჯგუფების) შექმნა.

**გ) თურქეთის ინტერესები.**

- კონსერვატიული ინტერესი რუსეთის შესაძლო აგრესიების პირისპირ დასავლეთის ერთადერთი მოკავშირის ტრადიციული როლის შენარჩუნებისა, რაც მას (ობიექტურად) საქართველოს დამოუკიდებელი პოტენციალის ზრდის მოწინააღმდეგედ ხდის.

- შეტევითი ინტერესი აღმოსავლეთისკენ და ჩვენი რეგიონისკენ დასავლეთის მოძრაობის კონტროლისა იმ მიზნით, რომ ეს მოძრაობა ძალიან ძლიერი არ გახდეს. ამ კონტროლით ბლოკირება ქურთების პრობლემათა აქტუალიზაციისა და შუა აზიის სივრცეში თურქეთისგან დამოუკიდებელი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინიციატივების გაჩენისა. ეს ინტერესი თურქეთს რუსეთთან საერთო აქვს.

- შემტევი ინტერესი მიმდგომ სივრცეში თურქულმოდგმიანი ხალხების (აზერბაიჯანელებისა და ირანელი აზერბაიჯანელების) პოზიციების გაძლიერებისა (შესაძლოა, საქართველოს ხარჯზეც). ამ ინტერესთა მიმართულებით თურქეთს რუსეთის მუდმივი მხარდაჭერის იმედი აქვს.

- შეტევითი ინტერესი რუსეთის მოსახლე თურქულმოდგმიანი ხალხების (თათრების) თვითდამკვიდრების საქმის წინწაწევისა რუსეთთან ძალიან მძიმე მოლაპარაკებების და, შესაძლოა, პარადოქსალური ურთიერთგარიგებების საფუძველზე.

- ინტერესი ევროსტრუქტურებთან ინტეგრაციისა (და ამ მხრივ კავკასიის ქვეყნებზე ყოველთვის წინ ყოფნისა) მაქსიმალური ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური გაძლიერების მიზნით, მაგრამ არა საკუთარ ზოგადთურქულმოდგმოვან (და არა ზოგადევროპულ) თვითიდენტიფიკაციაზე ხელის აღების ან ამ უკანასკნელის

გაგრძელება მე-8 გვ.

# ...და ყოველი დღე რწმენით თენდება!

„ – საქართველოს არსებობის ამ ეტაპზე პასუხს ჩვენ ვაგებთ,“ – თქვა ქალბატონმა ეთერ მგალობლიშვილმა 90-იანი წლების დასაწყისში და იმთავითვე ცხადყო, ეს მისი ცხოვრების დევიზი იყო!

ამ დევიზით ამოიარა უმძიმესი წლები.

„ – პასუხს ვაგებთო“, – თქვა



მაშინ, როცა საქართველომ უმამაცესი ნახტომი გააკეთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე;

მაშინაც, როცა გადაჯიშებულ ქართველთა და „გადმოქართველებულთა“ ხროვამ ფეხქვეშ გათელა პატრიოტ თვისტომთა სულისკვეთება და მიწასთან გაასწორა ეროვნული იდეალები...

... და ამბობს დღესაც, როცა ყოფნა-არყოფნის სამანთან მილეწილი საქართველო თავბრუდამხვევი სისწრაფით მიექანება უარესობისაკენ.

... ამიტომაც მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: დამხობილი ეროვნული ხელისუფლებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერ თანამოაზრეებთან ერთად ქალბატონმა ეთერ მგალობლიშვილმაც გააკეთა განაცხადი – 2003 წლის 2 ნოემბერს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და, როგორც დეპუტატობის კანდიდატმა, ბლოკის „ეროვნული თანხმობა – იბერიის გაბრწყინების“ წარმომადგენელმა, კენჭი იყაროს პარლამენტში მოსახვედრად.

მისივე თქმით, გამარჯვების შემთხვევაში, როგორც პარლამენტის წევრს, მეტი საშუალება ექნება იბრძოლოს საქართველოს აღზევებისთვის, „ანუ, ჩემი წილი პასუხი ვაგო სამშობლოს წინაშე!..“

●

... ეთერ მგალობლიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (13 წელია სადოქტორო ნაშრომი გამზადებული აქვს; ჯერ მოუცლელია: „ – მოვა მისი დაცვის დროც!“).

ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, პოლონურ ენებს.

1970 წლის დეკემბრიდან 1990 წლამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრში საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მეცნიერ-თანამშრომლად.

1990 წლის დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის უფროს კონსულტანტად. იმავე 1990 წლიდან მუშაობდა დოცენტად დავით აღმაშენებლის სახელობის თბილისის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში, საიდანაც 1992 წლის 7 აპრილს პოლიტიკური მრწამსის გამო გაათავისუფლეს.

1988-1995 წლებში სრულად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოების წევრია (1992 წლიდან ჰქონდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასაგან ამავე საზოგადოების რწმუნება).

1991 წელს იყო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ზვიად გამსახურდიას ნდობით აღჭურვილი პირი რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

1993 წლის თებერვლიდან, მას შემდეგ რაც ქ. გროზნოში აღსდგა „მრგვალი მაგიდა“, იყო მისი წევრი; ამჟამად მუშაობს საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დოცენტად და არის საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ხელმძღვანელი.

ჰყავს მეუღლე – მიხეილ ზურაბიშვილი და ქალიშვილი – ქეთევანი.

●

... ეროვნული მოძრაობის აღზევების, უფრო სწორად, ეროვნული ხელისუფლების გამარჯვების პირველივე დღეებიდან ჩანდა ეთერ მგალობლიშვილი – გულდასმით მოსაუბრე იმ პერიოდში საქართველოში უხვად ჩამოსულ ინგლისურენოვან სტუმრებთან თუ პოლონელ ჟურნალისტთა უპირველესი გზამკვლევი.

იყო მთარგმნელი, ინფორმატორი, დამკვალიანებელი – მიზნით: მოესმინათ და სწორი ინფორმაცია წაეღოთ ჩვენთან სამტროდ თუ სამოყვროდ ჩამოსულ უცხოელებს (და ეს არ იყო პატარა საქმე მაშინ!).

მერე... აირია ყველა და ყველაფერი. მე მინახავს, გადაფითრებული ეთერ მგალობლიშვილი მონუსხულივით რომ მისჩერებოდა პარლამენტის წინ თავშეყრილი ოპოზიციონერების წრეში მოზეიმე ქალბატონებს – იზა ორჯონიკიძეს, ლუიზა შაკიაშვილს, ლანა ღოღობერიძეს და სხვებს – საქართველოს მაშინდელი ღალატის წილ დღეს რომ ხმამაღლა კრიახებენ ნაირ-ნაირ თანამდებობებზე...

●

და ... ერთი ეპიზოდიც:

2 იანვარია 1992 წლისა...

თურმე: დღეები ეთვლება საქართველოს პრეზიდენტისა და უზენაესი ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა ყოფნას საკუთარ სამშობლოში; თურმე ამას გაულაღებია სამხედრო საბჭოს კლანჭების მოიმედე ნაძირალები...

არადა, ხალხი არ ისვენებს! მიტინგები... ვაგზალზე, უნივერსიტეტთან, დემონსტრაციები... სადღა აღარ...

იმ 2 იანვარს მიტინგი დიდუბეშია, მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე... მოხდა გამონაკლისი: მიტინგის ჩატარების ორგანიზატორები იგვიანებენ (თურმე ალყაში მოუქცევიათ!)... და ამ დროს შავნიღბოსანთა ჯგრო, ავტომატებით ხელში... ზღვა ხალხი... დაბნეულობა... წუთები გადის... ამაო ლოდინი – მიტინგის თავკაცები არა და არ ჩანან...

და, უცებ – თოვლსა და ტალახში ამოვარდა ბორცვზე ეთერ მგალობლიშვილი... ამოვარდა და დაიწყო... ეს იყო აპოთეოზი! სინქრონულად აკაკანდა ავტომატები... მგალობლიშვილი არ ჩუმდება! რის გაჩუმება – პირისპირ ამუნათებს ნიღაბაფარებულ გარეწრებს.

მგალობლიშვილი სამიზნეზეა – ოღონდ შორს და მაღლა... მას იღებს უამრავი (უფალმა უწყის ვისი) ტელეოპერატორი – მიზანი ნათელია: სადაც ჯერ არს დაფიქსირდეს მიტინგის წამყვანის ვინაობა და რაობა!..

... სრულიად საქართველოს ახსოვს 2 იანვრის დიდუბის მიტინგის დახვრეტა! იქ მოცელილი სტუდენტი ახალგაზრდობა და ზრდასრული ვაჟკაცები...

განგების ძალით გადარჩა იმ დღეს ეთერ მგალობლიშვილი... მაგრამ მთელი 12 წელი გრძელდება მისი დევნა...

ერთი ეპიზოდიც:

ამჯერად მაისია; თსუ-ს მისადგომები. ზღვა ხალხი. ოკეანე პოლიციელებისა – ზოგიც ფორმით, უმრავლესობა სამოქალაქო სამოსელით.

მიტინგზე გამოსასვლელად ემზადება ეთერ მგალობლიშვილი.

ამ დროს ერთი პოლიციელი, პოლკოვნიკი, მოდის ჩემთან და: – გიცნობთ! არ დაფრთხეთ! წადი ახლა, აი, იმას მოჰკიდე ხელი (ეთერ მგალობლიშვილზე მიმანიშნა) და ახლავე გაეცალეთ აქაურობას! შვილებს გეფიცებით, მისი დაპატიმრების ბრძანებაა დღეს გაცემული! გასწით...

უსიტყვოდ, თვალებით გადავუხადე მადლობა! არ გამიმხელია ეთერისთვის, რა საფრთხეც ელოდა! ნელი საუბრით გავარიდე სამიზნე მიკროფონს...

... მაგრამ სხვა დროს მაინც დააპატიმრეს და რამდენიმეგზის!

მეტიც: ეთერ მგალობლიშვილი „დუბინკით“ უცემიათ! იმდენად ძლიერ გაუმეტებიათ, რომ... არცთუ დიდი ხნის მერე – ქირურგის დანის აუცილებლობის წინაშე დამდგარა; საბედნიეროდ, გადარჩა!..

ეთერ მგალობლიშვილი სამიზნეზეა დღესაც!

მაგრამ შეუპოვარი ბუნება თავისას შვრება! მის ნათელ გონსაც თავისი გააქვს და... თენდება ყოველი დღე ჯიუტი რწმენით: რომ ასე ცხოვრება არ უნდა გაგრძელდეს!

„ – მე ვერ ვისწავლე სამშობლოს სიყვარული დამუწული პირით, დახუჭული თვალებითა და დაგმანული ყურებით! და არც არასოდეს მოხდება ეს!..“ მიიხრა ამას წინათ ქალბატონმა ეთერმა...

მჯერა!

**ზაირა ბილიხოძე**

# „ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური შეცდომა არ მოსვლია“

მე-2 გვერდიდან

*– ნუთუ ერთი პოლიტიკური შეცდომაც არ გახსენდებათ, ზვიად გამსახურდიას რომ მოუვიდა საქართველოს მართვისას იმ ერთი წლის განმავლობაში?*

– ზვიად გამსახურდიას არც ერთი პოლიტიკური შეცდომა არ მოსვლია ქვეყნის მართვისას. ზვიადმა კი არ დაუშვა შეცდომა, არამედ მისმა ე. წ. ოპოზიციამ გამოიყენა ზვიადის სულგრძელობა; მათ იცოდნენ, რომ ზვიადის პირიდან ხალხის ხოცვის ბრძანება არ ამოვიდოდა და ეს გამოიყენეს. ამით ისარგებლეს და 30 000 ადამიანი იქით აფხაზეთში დაგვიხოცეს, აქეთ კიდევ ერთი ამდენი.

*– არაერთგზის თქმულა, რომ შევარდნაძემ არ იცოდა 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში კიტოვანის მიერ ჯარის შეყვანის შესახებ, რომ ეს ჯარი რკინიგზის დაცვის მიზნით შევიდა აფხაზეთში და ა. შ. როგორ გგონიათ, მართალია ეს?*

– ეს ყველაფერი ზღაპარია. სინამდვილეში, ყველაფერი წინასწარ იქნა გარიგებული, რათა შევარდნაძეს რუსებისათვის აფხაზეთი მიეცა.

*– მაგრამ შევარდნაძე ხშირად საუბრობს აფხაზეთის დაბრუნების თაობაზე.*

– შევარდნაძე აფხაზეთის დამბრუნებელი არ არის, მაგრამ რაღაც ხომ უნდა თქვას. აფხაზებიც კი ხვდებიან, რომ შევარდნაძე საამისოდ ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამს. ამის თაობაზე საუბარი არც მასთან შეიძლება და არც არძინბასთან.

*– ბატონო დავით, დაემხო კომუნისტური რეჟიმი, დაიშალა საბჭოთა კავშირი, მასში შემავალი ქვეყნები, ასე ვთქვათ, დემოკრატიის გზას დაადგნენ, მაგრამ ამ ქვეყნების ხელისუფლების პირველ პირებად, უმეტეს წილად, ძველი, კომუნისტური ნომენკლატურა მოგვევლინა. ოდესმე თუ იფიქრებდით, რომ ასე მოხდებოდა?*

– ცხადია, არ ვფიქრობდი. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ იმ ხალხის, იმ ძველი კომუნისტების წიაღშიც მოიპოვებოდა ადამიანთა ნაწილი, ვისაც სამშობლოსათვის უძგერდა გული. ჩვენ შევარდნაძისთანა კომუნისტური, დახავსებული მორალის ადამიანები არ გვსურდა, თორემ ნორმალური ადამიანები იმ რეჟიმის დროსაც იყვნენ და ყოველ დროშიც. ე. შევარდნაძე რომ მოვიდოდა, მაინც სავარაუდო იყო, რადგან ეს ამბები, ხომ გახსოვთ, სად მზადდებოდა! – მოსკოვში. გურამ მგელაძეც ერია ამ მზადებაში, ზურაბ წერეთელიც და, საერთოდ, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო არაფერი. ზვიად გამსახურდია, ეროვნულობითა და ჭკუა-გონებით, განსწავლულობითა და ადამიანურობით ალსავსე, რაინდული სულის კაცი, მათ რაში სჭირდებოდათ! ყველაფერი ეს მაშინვე უნდა განგვეჭვრიტა. ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც მოვიდნენ ძველი კადრები, მაგრამ ისინი ნორმალური, თავისი ქვეყნის მოყვარული ხალხია, ქვეყანა ფეხზე დააყენეს. აი, ნახეთ გუშინდელი თუ გუშინწინდელი მსოფლიო ბანკის რეიტინგები, – ეკონომიკურად ყველაზე ბოლოს ჩვენ ვართ და პირველ ადგილზე ვართ დანაშაულობებში, კორუფციაში, ხაზინის ქურდობაში...

*– არ შემიძლია არ შევეხო ჩვენი ცნობილი თეატრალური რეჟისორის – რობერტ სტურუას ინტერვიუში გამოთქმულ აზრებს, რომელშიც, რბილად რომ ვთქვათ, რობერტ სტურუა კანაქიქებს ჩვენი სულიერების ყველაზე დიდ გამოხატულებას „ვეფხისტყაოსანსა“ და მის გმირებს. თქვენ თუ წაიკითხეთ ეს ინტერვიუ და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ იქ გამოთქმულ მოსაზრებებზე?*

– მეის აზრი მაქვს, რომ რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სცენაზე მაყურებელს წარუდგენს თუ არა თავის ნამუშევარს „ვეფხისტყაოსნის“ სახით, იგი სამუდამოდ დაისამარებს თავს ამ ე. წ. დადგმით – ეს არის და ეს! როგორ შეიძლება, ერის სულიერების გამომხატველი ძეგლი არ გესმოდეს, არ გიყვარდეს და ის დადგა! მით უფრო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სიტყვის ხელოვნებაა და თუ ამ სიტყვის აზრი და ღირებულება არ გესმის და თანაც არ გესმის იმიტომ, რომ რუსული განათლება გაქვს; რუსულადაც ხომ არსებობს ამ უნიკალური პოემის თარგმანები, აიღე და წაიკითხე, შე დალოცვილო და, წაუკითხავად ნუ იმსჯელებ მასზე, როგორც უკანასკნელ უბირს სჩვევია! თუ მაინც წაიკითხე და ვერ ჩასწვდი, ვილა გაიძულებს მის დადგმას?!

*– ბატონო დავით, თქვენ იყავით „ერთობის“ პარტიაში, ახლა კი ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის პოლიტსაბჭოს წევრი ბრძანდებით, რაც, ვფიქრობ, დიდად საპატიო უნდა იყოს. რამ განაპირობა თქვენი ჯერ პირველი, მერე მეორე არჩევანი?*

– „ერთობაში“ იმიტომ გავწევრიანდი, რომ მისი თავმჯდომარე ჯუმბერ პატიაშვილი კარგი პიროვნებაა, მაგრამ როდესაც „ეროვნული თანხმობის“ კავშირი შეიქმნა, უმალვე მივხვდი, რომ ჩემი ადგილი აქ იყო, რადგან ყველა ჩემმა თანამოაზრემ, ყველა ეროვნულმა ამ კავშირში მოიყარა თავი. ეს ყველაფერი გულწრფელად მოვახსენე ჯუმბერ პატიაშვილს, რომელმაც სწორად გაიგო ჩემი გულის ნადები. მე დღესაც კარგად ვარ ჯუმბერ პატიაშვილთან. საერთოდ, ძალიან მინდოდა ეროვნული ნიშნით ადამიანების გაერთიანება. ვხედავ, ყველა ჩვენიანია, ძირითად საკითხებზე ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა, ამიტომაც აქ უნდა ვყოფილიყავი და, რასაკვირველია, კმაყოფილი ვარ აქ ყოფნით. მაინცდამაინც იმიტომ კი არა, რომ ხელისუფლებაში უნდა აუცილებლად მოვიდეთ, არამედ იმიტომ, რომ როდემდე შეიძლება ქვეყნის დაქცევას ტელევიზორის ეკრანიდან ვუყუროთ? როდემდე შეიძლება ქუჩაში გამოხვიდე და მათხოვრებით სავსე ქუჩა გხვდებოდეს, ყოველდღიურად ძარცვა-გლეჯასა და მკვლელობებზე გესმოდეს? აღარ არსებობს რაიმე ატრიბუტი, რომელიც მოგაგონებს, რომ ქვეყანაში, სახელმწიფოში ცხოვრობ. ჯარი არ არსებობს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს მილიონებს აჭრიან და პრეზიდენტის დაცვას უმატებენ; საზღვარი დაუცველია, ჯარისკაცი თუ არსებობს, მშიერია და ამ დროს პრეზიდენტის დაცვას რომ აძლიერებ, ეს სამართალია? ჩვენხელა ქვეყანაა ისრაელი და როგორი ჯარი ჰყავს, რა შეიარაღება აქვს, საქვეყნოდ ცნობილია, ჩვენში კი დღითი დღე უკან მიდის ყველაფერი. რაღაც უნდა ვიღონოთ, რომ შემდგომმა თაობებმა არ თქვან, ეს ხალხი გულხელდაკრეფილი იჯდა და მეორე ზვიად გამსახურდიას ელოდაო. ამიტომაც მოვედი ეროვნულებთან, რადგან მჯერა მათი.

* * *

*ბატონი დავით სოკოლოვის ინტერვიუს ბოლოს ერთი საინტერესო ამბავი გამახსენდა, რომელიც არ შემიძლია მკითხველს არ ვუამბო: საქართველოში ჩამოსულმა ერთმა უცხოელმა დიდ ქართველ ფილოსოფოსსა და „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელს ბატონ შალვა ნუცუბიძეს ჰკითხა: ბატონო შალვა, ამდენ ხანს რომ ერთ გამოქვაბულში ცხოვრობდნენ ტარიელი და ასმათი, ნუთუ მათ შორის ინტიმური კავშირი არ არსებობდაო? შალვა ნუცუბიძე ამ კითხვამ არა მარტო გააოცა,ააფორიაქა კიდეც და უცხოელს უპასუხა, – აი, ეს კითხვა*

*მხოლოდ არაქართველს თუ დაებადებოდაო.*

*ეს ამბავი ბატონ დავით სოკოლოვსაც ვუამბე და იცით, რა მიპასუხა? – სამწუხაროდ, დღეს ეს კითხვა ქართველსაც დაებადებოდაო! ამით ყველაფერი თქვა ბატონმა დავითმა. კერძოდ კი ის, რომ ათასგვარმა სექტებმა, ათასნაირმა უწმინდურმა შემონატანებმა, თუნდაც სერიალებმა, რაღა დავიმალოთ და, მთლიანად თუ არა, მნიშვნელოვნად შეცვალეს ქართველი კაცის ბუნება და ხასიათი.*

*ვაი, რომ არაქართულმა ხელისუფლებამ დიდი ძალისხმევა მოახმარა ქართველის ფსიქიკის შეცვლას.*

*„ეროვნულების“ დეპუტაციას, რომელთა შორის ბატონი დავით სოკოლოვიცაა, ევალება ამ ეროვნული ხასიათის დაბრუნებაცა და შენარჩუნებაც.*

*ყველა ქართული საქმის ქმნაში ღმერთმა ხელი მოუმართოს მას!*

**ბელა შალვაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# VII. საქართველოს საგარეო პოლიტიკა

მე-6 გვერდიდან

შესუსტების ფასად.

**დ) აზერბაიჯანის ინტერესები.**

- თავდაცვითი ინტერესია რუსეთის შესაძლო აგრესიათაგან დაცვა, რაშიც მთავარი მოკავშირეა აშშ და მეორე მოკავშირეა თურქეთი. მოკავშირედ განიხილება ამ კონტექსტში საქართველოც.

- შეტევითი ინტერესები თავისა და ზოგადად თურქულმოლგმოვანი ქვეყნების გავლენისა და პოტენციალის გაფართოებისა (საქართველოს ხარჯზე გაფართოების ჩათვლით).

**ე) სომხეთის ინტერესები.**

- თავდაცვითი ინტერესია თურქეთის შესაძლო შემოტევისაგან (რაც მინიმალურად ალბათია) თავის დაცვა და აზერბაიჯანის სომხური მსახლეობის დაცვა.

- შეტევითი ინტერესია სომხური განსახლების აზერბაიჯანული ტერიტორიების კონტროლის ალება (ამა თუ იმ სახით), აგრეთვე, საქართველოს ანალოგიური ტერიტორიებისა.

- შეტევითი ინტერესია შავ ზღვაზე გასასვლელის (დერეფნის) მოპოვება, რაც გულისხმობს საქართველოს ტერიტორიის ხელთგდებას და (საქართველოსთვის უარეს შემთხვევაში) საქართველოს სახელმწიფოებრივ კატასტროფას ამ ინტერესის განხორციელებადობის მისაღწევად.

- თავდაცვითი ინტერესია (ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოსათვის საერთო) რუსეთის შესაძლო აგრესიისაგან თავის დაცვა, რაც შესაძლებელია, პრაქტიკულად, მხოლოდ დასავლეთის თანადგომის წყალობით.

**ვ) უკრაინის, რუმინეთის და ბულგარეთის ინტერესები**

- თავდაცვითი ინტერესია რუსეთის შესძალო აგრესიისაგან თავის დაცვა (ეს ინტერესი პრაქტიკულად სავსებით ლეზაქტუალიზებულია)

- ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესია დასავლეთ-აღმოსავლეთის დერეფნის მაქსიმალურად ფართო და სწრაფი განვითარება

- რუმინეთის ცალკე (კონსერვატული) ინტერესია საქართველოში და აზერბაიჯანში სეპარატისტული მოძრაობების წარუმატებლობა, რათა არ მოხდეს ტრანსილვანიის საკუთარი რუმინული პრობლემის აქტუალიზაცია.

**ზ) ჩრდილო კავკასიის კავკასიელ ხალხთა ინტერესი.**

- მათი ინტერესია ამიერკავკასიის ქვეყნების მიერ საკუთარი დამოუკიდებლობის მყარი დაცვა და სახელმწიფოებრიობის წარმატებული განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს მათ მიერ აქტიური როლის თამაში ამ ხალხთა თვითმდგომობისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდაში.

- ადიღეური ავტონომიების და ოსეთის (ე.წ. "ჩრდილო ოსეთის") სპეციფიკური შეტევითი ინტერესებია აფსუური ("აფხაზური") და ოსური სეპარატისტული მოძრაობების წარმატება საქართველოს სახელმწიფოს ხარჯზე.

**თ) ჩინეთის ინტერესი.**

- ზოგადი ინტერესია ობიექტური პირობების მომზადება იმისთვის, რომ "დერეფანში", რომელიც იქმნება, მოძრაობა ხდებოდეს არა მხოლოდ დასავლეთის ინიციატივით, არამედ ჩინეთის ინიციატივითაც. ევროპაში ჩინეთის შეღწევის ერთ-ერთ გზად ამ "დერეფნის" გამოყენება ჩინეთისთვის სტრატეგიული ამოცანაა.

- შესაძლოა, რომ ჩინეთისთვის, როგორც რუსეთის შესაძლო მომავალი სტრატეგიული მოკავშირისთვის (რაც ნაკლებ ალბათია), სასურველი იყოს რუსეთის პოზიციების განმტკიცება ამიერკავკასიის ქვეყნების ხარჯზე.

ამ ორი ინტერესის ურთიერთმიმართებაზე ლაპარაკისთვის დღეს საკმარისი ინფორმაცია არ გვაქვს.

**ი) არაბული ქვეყნების ინტერესები**

- არაბული ნავთობმომპოვებელი ქვეყნების ობიექტური ეკონომიკური ინტერესი ეწინააღმდეგება შუა აზიისკენ "დერეფნის" ამუშავებას ნავთობსადენთა და გაზსადენთა ამუშავების ჩათვლით. უეჭველია, რომ ეს ინტერესი არ შეიძლება უკვე გაცნობიერებული არ იყოს ამ ქვეყნების ლიდერთა მიერ.

- არაბული ქვეყნების გრძელვადიანი გეოსტრატეგიული ინტერესი ემთხვევა "დერეფნის" ამუშავებისა და გაფართოების ინტერესებს, რადგან ამით ხელი ეწყობა დასავლეთის ინტერესის ზრდას ამ რეგიონისადმი და, შესაბამისად, მის კლებას ახლო აღმოსავლეთის რეგიონისადმი, სადაც ეს ქვეყნები, არაბული ქვეყნების თვალში, მათი მოწინააღმდეგე იზრაელის მხარდამჭერნი არიან.

**კ) იზრაელის ინტერესები.**

- ლოგიკურია ვარაუდი, რომ იზრაელი, როგორც დასავლეთი სამყაროს ერთ-ერთი ორგანული ნაწილი, მოკავშირედ განიხილავს საქართველოს, როგორც ამავე სამყაროს დღევანდელ და მომავალ ნაწილს.

- ლოგიკურია, მეორეს მხრივ, რომ იზრაელი, რომელიც დემოკრატიული დასავლეთის მოწინავე პოზიციაა აზიის კონტინენტზე, კონკურენტად განიხილავდეს საქართველოს, რომელიც აგრეთვე დასავლეთის მოწინავე პოზიციაა ამ კონტინენტზე, და საქართველოს სახელმწიფოს მყარად ჩამოყალიბების მომხრე არ იყოს. ამ ორი ლოგიკურად სავარაუდო ინტერესის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისათვის საკმარისი ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

## 2. საქართველოს საგარეოპოლიტიკური არჩევნები

ა) საქართველოს უალტერნატივო საგარეოპოლიტიკური არჩევანია დემოკრატიული დასავლეთი. დასავლეთისკენ (ხატოვნად რომ ვთქვათ) ჰელიოტროპული სწრაფვა საქართველოს ისტორიისა და სულისკვეთების მკაფიოდ გამოკვეთილი მახასიათებელია უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე მაინც. მას განაპირობებს

- ქრისტიანული რელიგია (და მისი მომცველი ფეოდალური ისტორიული ფონი)

- განათლებისეული და კულტურისეული პრესტიჟი

- პოლიტიკურსა და სოციალურ ცხოვრებაში ორიენტაცია სამართლებრიობაზე და ჰუმანიზმზე

- თვალში საცემი მსოფლიოპოლიტიკური პერსპექტიულობა

ბ) საქართველოსთვის უალტერნატივო ზოგადდასავლური ორიენტაციის ფონზე არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამერიკული (აშშ) და ევროპული ორიენტაციების გარჩევას. ამერიკული ორიენტაციის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტები, რომ

- აშშ სუპერძალაა და

- აშშ დღეს აქტიურ შეტევით პოლიტიკას აწარმოებს ჩვენს რეგიონში და აქტიურად იცავს საქართველოს პირდაპირი დარტყმისაგან რუსეთის მხრიდან

- ევროპის გეოგრაფიული სიახლოვე კავკასიასთან ევროპული ორიენტაციის სასარგებლოდ მეტყველებს

- ევროპის დიფერენცირებულობა, რაც საქართველოსთვის სასურველ პლურალისტურ ატმოსფეროს და ზოგადკულტურულ, აგრეთვე ზოგადეკონომიკურ სასურველ ვითარებას ქმნის.

გ) დასავლურ დემოკრატიებთან თანამშრომლობა უნდა იყოს ფართო და მოიცავდეს თავდაცვის სფეროსაც. თავდაცვის სფეროში იგი უსათუოდ უნდა ფორმდებოდეს იურიდიულად უხინჯო მრავალმხრივ (ნატო) და ორმხრივ ხელშეკრულებათა სახით. ეს უკანასკნელნი უნდა მოიცავდნენ მხარეთა მოქმედებას და მათზე მესამე ქვეყნების თავდასხმის შესაძლებლობათა გათვალისწინებას ამ რეგიონში, და არა დედამიწაზე მთლიანად. ხელშეკრულებათა მუდმივ თანმხლები მიზანია საქართველოს მოსახლეობის მაქსიმალური შესაძლებელი დაცვა და საქართველოს სახელმწიფოებრივ ამოცანათა (მათ შორის - სამომავლოსი და მრავალსაუკუნოვანის) მაქსიმალური გათვალისწინება. ამ მიზანთა მიღწევის ხარისხი დამოკიდებულია მოლაპარაკებებზე და ობიექტურ გარემოებებზე.

დ) საქართველოს საგარეო პოლიტიკის სასურველი მიზანი - მისი მაქსიმუმი განჭვრეტადი მომავლისათვის - არის ახლო და შედარებით შორეულ მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობის მარეგულირებელ ხელშეკრულებათა განშტოებული სისტემის ქონა და რეალური ძალის შექმნა რომელიმე მათგანის მხრიდან თავდასხმის მოგერიებისათვის ამ ხელშეკრულებათა დარღვევის შემთხვევაში. საქართველოს საკუთარი სამხედრო ძალა და ეკონომიკური რესურსი საკმარისი უნდა იყოს მოწინააღმდეგისათვის (მათ შორის - თანამედროვე იარაღით აღჭურვილი სუპერძალისათვის) წინააღმდეგობის გასაწევად რაციონალურად ხანგრძლივი დროის მანძილზე, ხოლო შემდეგ (დროულად) მოქმედებაში უნდა შევიდეს თანამედროვე სტრატეგიული შეიარაღებებით აღჭურვილი მოკავშირე ძალები. საქართველოს გეოპოლიტიკური როლი დემოკრატიულ დასავლელ ძალთა თავდაცვის ერთობლივ სისტემაში უნდა იყო კავკასიონის მთავარ ქედზე გამავალ მიჯნაზე (ზღუდეზე) დაცვა - საქართველოს საკუთარი ძალებით და დიდი დემოკრატიების ტექნიკური, ეკონომიკური და მატერიალური (აღჭურვილობა) დახმარებით - იმ სივრცისა, რომელიც ამ მიჯნის სამხრეთით ძევს: ამიერკავკასიისა მისი ინტენსიური ტერიტთნაკავშირებითურთ "დასავლეთი-აღმოსავლეთის დერეფანში" და ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე ქვეყნებისა. საქართველოს გეოსტრატეგიულ ფუნქციაში უნდა შედიოდეს კონტროლი იმისა, რომ ჩრდილო კავკასიასა და მის მიმდგომ ზონაში არ ხდებოდეს რუსეთის ძალთა კონცენტრირება დათქმულ (შეთანხმებულ) მაქსიმუმზე ზევით და სამაგიეროდ მყარი გარანტი უნდა იყოს იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ მოხდება ძალთა კონცენტრაცია იმ მაქსიმუმზე ზევით, რასაც საქართველოს და ამიერკავკასიის დაცვა მოითხოვს.

საქართველოსა და მეზობელი რუსეთის ურთიერთობის ამგვარი განსაზღვრის პირობებში რუსეთისთვის, მოსალოდნელია, აზრს კარგავდეს ჩრდილო კავკასიის საზღვრეთი ზონის, ანუ კავკასიის ხალხთა ქვეყნების, პყრობა, როგორც სამხრეთისკენ შეტევის პლაცდარმისა, და შესაძლებელი იყოს ამ ზონის მშვიდობიანი განთავისუფლება რუსული იმპერიული ბატონობისაგან.

ე) რუსეთის შესაძლო აგრესიისაგან საკმარისი პოლიტიკური და სამხედრო დაცულობის შემთხვევაში არ არსებობს დაბრკოლება ინტენსიური ეკონომიკური კავშირების განვითარებისთვის, საქართველოს გავლით, რუსეთსა და სამხრეთით მდებარე ქვეყნებს შორის.

ვ) უახლოესი მომავლისათვის ქართულ-თურქული ურთიერთობების მიზანი-მაქსიმუმი არის ურთიერთლოიალობისა და თავდაუსხმელობის, ერთმანეთის შინაგან საქმეებში ღია და ფარული ჩაურევლობის მყარი ობიექტური გარანტიების შექმნა და ურთიერთნდობის აგება, აგრეთვე კეთილსინდისიერი თანამშრომლობა ნატოს ჩარჩოში.

ზ) უახლოესი მომავლისათვის ქართულ-ირანული ურთიერთობის მიზანი-მაქსიმუმია ობიექტური გარანტიების შექმნა ურთიერთთავდაუსხმელობისათვის და დაუბრკოლებელი ეკონომიკური თანამშრომლობისათვის. საქართველოს ინტერესია ირანისა და საქართველოს დასავლელი მეგობარი და პარტნერი ქვეყნების ურთიერთობათა განვითარება დათბობისა და თანამშრომლობისაკენ.

თ) საქართველოსა და მისი რეგიონის ქვეყნების ურთიერთობის მყარი პრინციპი უნდა იყოს ყველა ფორმით განმტკიცებული ვალდებულება ურთიერთთავდაუსხმელობისა, თავ-თავისი ტერიტორიიდან მესამე ძალის მიერ დარტყმის შეუყენებლობის ჩათვლით.

ი) საქათრველოს ძირეული და ურყევი ვალდებულება თავისი ევენტუალური პარტნერების და მოკავშირეების - დასავლეთის დემოკრატიების - წინაშე არის საქართველოს მიწა-წყალზე გამავალი და ამ ქვეყანათა ინტერესების მომსახურე მაგისტრალების გარანტირებული დაცვა, დღეს და განჭვრეტად მომავალში, ყოველგვარი ხელყოფის მცდელობასთან მესამე ქვეყნების, მათ შორის - რუსეთის მხრიდან. საქართველოს იმედი სამხედრო მოკავშირეობისა ამ დემოკრატიულ ქვეყნებთან და მისი მოლოდინი ამ ქვეყნების მიერ სტაბილური დაცვისა რუსეთის აგრესიისაგან აგებულია მის მზაობაზე, ეს ვალდებულება შეასრულოს ყველა შემთხვევაში და ყველა პირობებში.

კ) საქართველოს ურთიერთობა სომხეთთან და აზერბაიჯანთან ძირითად მიზნად ისახავს ამ ორივე ქვეყნის მშვიდობიანი თანამშრომლობის მიღწევას, რაც შესაძლებელია აზერბაიჯანის ინტერესის გათვალისწინებით, რომ ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნოს, და სომხეთის ინტერესის გათვალისწინებით, რომ დაუბრკოლებელი ცხოვრებისა და განვითარების საშუალება მოუპოვოს სომეხ მოსახლეობას აზერბაიჯანში, მთიანი ყარაბაღის (არწახის) ჩათვლით. საქართველოს მისწრაფებაა, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი სრულად იყონ ჩაბმულნი იმ მოკავშირულ ურთიერთობაში დასავლეთის დემოკრატიებთან, რომლებიც საქართველოს თავისთვის ჰსურს და რომლებიც ზემოთ დავახასიათეთ "თ)" და "ი)" ქვეპუნქტებში.

ლ) საქართველო გულმხურვალედ მონდომებულია, რომ იზრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის, ებრაელ ხალხსა და არაბ ხალხს შორის დამყარდეს მშვიდობა ორივე მხარის ყველაზე ფუნდამენტურ ინტერესთა გათვალისწინებით. საქართველოს და ქართველ ხალხს დიდი და მწარე გამოცდილება აქვს ბრძოლის როგორც თავის ფიზიკური გადარჩენისათვის და საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისათვის, ისე საკუთარი ტერიტორიის შენარჩუნებისათვის და ისტორიული მეხსიერების უფლების შენარჩუნებისათვის. ამიტომ საქართველოს წარმომადგენლებს საერთაშორისო ორგანიზაციებში მორალური უფლება აქვთ და მოვალეობა აწევთ, არ დაიშურონ გულწრფელი ძალისხმევა იზრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის, ებრაელ და არაბ ხალხებს შორის მშვიდობის დამყარების გზათა გაკვალვისათვის.

მ) საქართველო დაინტერესებულია ინტენსიური ურთიერთობის დამყარებაში ინდოეთთან და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მათთან ნაყოფიერი ეკონომიკური, კულტურული, სატრანსპორტო და პოლიტიკური თანამშრომლობის გზათა გამონახვაში. საქართველო, ისტორიული ტრადიციითვე, თავის თავს თვლის ტიპოლოგიურად დასავლურ ქვეყანად აღმოსავლეთში და თავისი აღმოსავლელი მეზობლების ყველაზე კარგ მცნობად და მოყვარედ ტიპოლოგიურად დასავლურ ქვეყნებს შორის. საქართველოს იმედი აქვს, რომ, თავისი სპეციფიკური მძიმე ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, შეძლებს თავისი წვლილის შეტანას ცივილიზაციათა გაღმრავებული ურთიერთგაგების და სიღრმისეული თანამშრომლობის გზათა გამონახვის საქმეში.

ნ) საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიუცილებელი და ყოველდღიური ამოცანაა ზრუნვა რეგიონალური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის ორგანიზაციათა შექმნისათვის და განვითარებისათვის.

## 3. საშიშროებები, რომლებიც საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ მიზნებს ემუქრება, და მათი მოგერიების გზები

ა) ქართველ საზოგადოებაში გავრცელებული ერთ-ერთი შიში, რომელიც საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესაძლო კატასტროფას ეხება, იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია რუსეთმა, რაღაცა ხელოვნური საბაბით, განახორციელოს სამხედრო დარტყმა საქართველოზე და მისი ხელახალი ანექსია მოახდინოს მეტ-ნაკლებად დაუფარავი მარიონეტული ხელისუფლების მოყვანის გამოყენებით. ეს შიში, თავის რეალობის ხარისხით, არ კმარა იმისთვის, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ზემოაღწერილი სასურველი კურსი უარყოფილ იქნას: დღეს და ახლო მომავალში რუსეთს არა აქვს და ვერ ექნება ის პოზიცია, რომ თავს საერთაშორისო სამართლის ესოდენ უხეში დარღვევის უფლება მისცეს.

ბ) ამავე საზოგადოების მეორე შიში ის არის, რომ შესაძლებელია დასავლეთმა, რაღაცა საკუთარი პრობლემის გაჩენის გამო, მოისურვოს რუსეთთან ურთიერთობის არდამბავა "ნებისმიერ ფასად" და მას საქართველოს ინტერესების მკვეთრი შელახვის ნება მისცეს - მასთან, როგორც ამბობენ ხოლმე, "მსოფლიოს კიდევ ერთხელ გადანაწილება" მოახდინოს. ეს შიში უფრო რეალურია, ვიდრე პირველი, მაგრამ რეალობის მაღალი ხარისხი არც მას აქვს: საქართველოს "გაწირვას" დასავლეთის მიერ ზღვრად აქვს საქართველოს კვლავ ჩავარდნა რუსეთის ხელში, რაც დასავლეთ-აღმოსავლეთის დერეფნის, მაშასადამე - შუა აზიაში დასავლური დემოკრატიის შესვლის გეგმის ჩავარდნას ნიშნავს. ამიტომ არც ეს შიში კმარა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ზემოაღწერილ კურსზე ხელის აღების საფუძვლად.

გ) არის შიში, რომ შესაძლებელია დასავლეთის ინტერესებმა გადაინაცვლონ სამხრეთ ამერიკის ან აფრიკის რესურსთა ათვისებისაკენ, რის გამოც შუა აზია და, შესაბამისად, ამიერკავკასიის დერეფანი ყურადღების მიღმა დარჩება და იქ კვლავ რუსეთი გაბატონდება. ამ შიშის რეალობის ხარისხი დაბალია, რადგან შუა აზიაში დასავლური დემოკრატიის შესვლის გეგმა ისახავს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სტრატეგიულ ინტერესებსაც (იხ. ზემოთ).

დ) დასასრულ, არსებობს შიში, რომ დასავლეთი არ გადაუხვევს თავის ზემოხსენებულ გეგმას, მაგრამ მასში საქართველოს ჩართვას გულისხმობს არა როგორც ქვეყნისა და გამართული სახელმწიფოსას, არამედ როგორც პოლიტიკურ ნებას მოკლებული ტერიტორიისას, რომლის საზღვრები ფიქტიურია, თავდაცვა - უძლური, წყობა - ფედერალური, მოსახლეობა - ჭრელი და არაორგანიზებული, ხელისუფლება - მარიონეტული და კორუმპირებულია, განათლების დონე - პრიმიტიული და სამომავლო პერსპექტივა - ნულოვანი. ამ შიშს რეალობის მაღალი ხარისხი აქვს, მაგრამ ზემოაღწერილი საგარეო-პოლიტიკური კურსის უარსაყოფად არც იგი კმარა. ამგვარი მომავალი საქართველოსთვის მიუღებელია, რადგან იგი სასიკვდილოა. მისდამი წინააღმდეგობა არა მხოლოდ აუცილებელია, არამედ პერსპექტიულიც: საქართველოსთვის მისაღებ კურსზე გადასვლა - კურსზე, რომელიც საქართველოს განიხილავს როგორც მოკავშირეს, და არა როგორც ნებას მოკლებულ ტერიტორიას, - დასავლური დემოკრატიებისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ამიტომ მათთან ურთიერთობაში, მიუხედავად მათი მეგობრობისა, საქართველოს ხელისუფლებას მაინც სიმყარე ჰმართებს. ამ სიმყარის უნარი მხოლოდ ეროვნული ისტორიული პასუხისმგებლობით აღჭურვილ ხელისუფლებას აქვს.

მთავარი რედაქტორი
მანანა
ლობჟანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-15-89

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.